ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 ოქტომბერი, 2018 №248 (7793) ფასი: 60 თეთრი

გამტაცებლები ბიზნესმენ ამირან დეკანოიძეს შვილის დასაბრუნებლად დიდ ფულს სთხოვდნენ

გვ.7

გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა ლიდერობა დაკარგა“

გვ.2

„აღარ მაქვს იმედი, რომ მას რამის გაკეთება შეუძლია“

„ბადრი პატარკაციშვილი და ზურაბ ჟვანია ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ამ ქვეყანაში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა“



გვ.3

სცემეს თუ არა საკანში მირზა სუბელიანს

პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი ხელისუფლებას დამხობით ემუქრება

ზვიად ძიძიგური: „არასამთავრობოებმა თეა წულუკიანზე შურისძიება ცადეს“

გვ.3

„ისინი საკადრო პოლიტიკაში ერევიან. მათ საქმიანობას პოლიტიკური შეფერილობა უნდა ჩამოშორდეს“

პეტრე მამრაძე: „ახლანდელი არჩევნები 1992 წლის არჩევნებისგან არაფრით გამოირჩევა“

გვ.4

„ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მეტად ივანიშვილს აწყობს“

გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციამ შეცდომით ჩათვალა, რომ ბიძინასთან ბრძოლა მარტივია“

ლალი აფციაური: „ვის რაში სჭირდება სააკაშვილის ლიკვიდაცია. ის დიდი ხანია, პოლიტიკური გვამია“

გვ.4

სამართალი გვ.7

„მალხაზ კობაურს 4 წლის ბავშვის გვამის პოვნა გამომძიებელმა დაავალა“

„საფინანსო კომპანია საქართველოს“ მიერ დაზარალებულებმა მთავარ პროკურორთან შეხვედრაზე უარი თქვეს

სამზარეულო დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და მიიმალა

ეკონომიკა გვ.6

კობა გვენეტაძე: „როცა დაასახელებთ, რომ რომელიმე პროდუქტი გაძვირდა, არ დაგავიწყდეთ, რომ არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომლებიც გაიაფდა“

ლაშა პაპაშვილი: „ზოგჯერ მოსამართლე ილეზს ისეთ გადაწყვეტილებას, რომ მდიდარი რადგან ხარ, საქმე უნდა წააგო“

ISSN 1987-9385

5 ბიძინა გუჯაბიძე: „ვადამდელი არჩევნები საზოგადოების მოთხოვნა არ არის“

7 „ბასიანსა“ და „გალერიში“ დაკავებული 2 პირისგან შეძენილი ნივთიერების ნაწილი ნარკოტიკი არ აღმოჩნდა

6 თამაშგარე დარჩენილი ქართული კომპანიები და უცხოელებზე მინდობილი მთავარი საავტომობილო მაგისტრალები

8 ვინ არის ქერჩელი მსროლელი?

გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა ლიდერობა დაკარგა“

„აღარ მაქვს იმედი, რომ მას რამის გაკეთება შეუძლია“

შორენა მარსაგიშვილი

„2020 წელს „ქართული ოცნება“ დასრულდება“

„ბადრი პატარკაციშვილი და ზურაბ ჟვანია ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ამ ქვეყანაში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა“

რატომ ვერ დაბრუნდებიან ნაციონალები ხელისუფლებაში, როგორ დაკარგა ივანიშვილმა ლიდერობა, ვის ინტერესებში იყო პატარკაციშვილის მოშორება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

– ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას შორის ჩანაწერების ომი მიდის. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ომი და რა შედეგს მოიტანს ის ან ერთი, ან მეორე მხარისთვის?

– ნაციონალური მოძრაობა ამ ჩანაწერებით არანაირად არ ზიანდება. რა კომპრომატიც არ უნდა გამოაგდოს ხელისუფლებამ, ამაზე რეაქცია აღარ იქნება – ხალხს ნაციონალებისთვის დიაგნოზიც დასმული აქვს და 2012 წელს განაჩენიც გამოუტანა. შესაბამისად, რაც არ უნდა გამოვიდეს ხელისუფლების მხრიდან, მათი დამატებით დაზიანება შეუძლებელია.

„ქართულ ოცნებას“ რაც შეეხება, ამ ჩანაწერებით მათ პრაქტიკულად დაკარგეს მორალური სახე. ამ ჩანაწერებით პრაქტიკულად დადასტურდა ეჭვები იმის შესახებ, რომ მმართველი პარტია მიმართავდა ყველა იმ მანკიერებას, რასაც ნაციონალები იყენებდნენ და რისთვისაც ისინი თავის დროზე გავისტუმრეთ.

ხელისუფლება ამ ჩანაწერებზე ან არ რეაგირებს, ან რეაგირებს, მაგრამ ძალიან ბრიყვულად, რაც ამ ეჭვებს ადასტურებს. ეს ჩემთვის აბსოლუტურად ამოუხსნელი რამ არის და არ მესმის, როგორ ვერ ხვდებიან ამას.

ნაცვლად იმისა, რომ სისტემურ პრობლემას სისტემური პასუხი გასცენ, რაღაც არარეალისტურ და ბრიყვულ ისტორიებს თხზავენ, რითაც ცეცხლზე ნავთს ასხამენ და ფაქტობრივად ადასტურებენ, რომ რაღაცა ხდება ხელისუფლებაში.

მათ მოქმედებებს, მართალია, სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ ჩემთვისაც კი ასეთი დეგრადაცია და დეკვალიფიკაცია გასაოცარია პირდაპირ.

– ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურად იყავით განწყობილი, მაგრამ გქონდათ ივანიშვილის იმედი. ისევ გაქვთ მისი იმედი, რომ ვითარებას გამოასწორებს?

– კიდევ მაქვს მცირე იმედი, რომ დაინახავს, რამხელა პრობლემის წინაშე დგას. ეს პრობლემა ახლა რომც გადატეხოს, გრძელვადიან პერსპექტივაში „ქართული ოცნება“ დამთავრებულია.

იმედი მრჩება, მაგრამ უკვე მიჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ის ლიდერი. ვფიქრობ, რომ ის ლიდერის ფუნქციებს ვეღარ ასრულებს.

რა არის ლიდერი? ლიდერი არის ადამიანი, რომელიც პრობლემას თვალს უსწორებს და მას წყვეტს. ადამიანი თუ ამას არ აკეთებს, ის კარგავს ლიდერის ფუნქციას და სისტემის რიგითი ნაწილი ხდება.

– ივანიშვილზე რიგითის თქმა ცოტა ძნელია.

– კი ბატონო, ის ისევ რჩება ძალის ცენტრად, მაგრამ ლიდერის ფუნქციას ვეღარ ასრულებს.

– აბა ვინ არის „ოცნებაში“ ლიდერი?

– „ოცნებაში“ ლიდერი არ არსებობს. არა მხოლოდ პარტიული ლიდერი არ არსებობს, არამედ სახელმწიფოებრივი ლიდერების დეფიციტია ქვეყანაში. მთელი პოლიტიკური ელიტა ძალიან ღრმა კრიზისშია.

ერთადერთი, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა იმის რესურსები, რომ ამას შესწინააღმდეგებოდა, დაენახა სახელმწიფოებრივი საფრთხეები და რაღაც ნაბიჯები გადაედგა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან მარტივ სიტუაციებშიც კი ის ვეღარ ან აღარ მოქმედებს.

შესაბამისად, დიაგნოზი ორნაირია – ან დაიღალა და ხელი ჩაიქნია, ან არადა სისტემის მძევალია და არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია.

– თქვენ შეთქმულებების თეორიები არ გიყვართ, მაგრამ არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ივანიშვილის უმოქმედობა ხელისუფლების გადაბარებას უკავშირდება.

– ეს არის შეთქმულების თეორია. ეს საქართველოა და საქართველოში ხელისუფლების გადამბარებელი ადამიანი არ მეგულება. ადამიანებს ძალაუფლება ძალიან უტკბებათ და, რაც მთავარია, მერე თავი უკვდავები ჰგონიათ და იჯერებენ, რომ სულ ხელისუფლებაში იქნებიან.

საქართველოში არასდროს მომხდარა, რომ თავისი ნებით ვინმემ ვინმეს რაიმე გადააბაროს.

– რამდენიმე დღის წინ თქვენ ამბობდით, რომ სიტუაციის გადარჩენა ვიღაცების თავების დაგორებით შეიძლებოდა. მის მერე კიდევ ბევრი რამე მოხდა და თავების დაგორება ვეღარ გადაარჩენს სიტუაციას?

– ივანიშვილის მიმართ გარკვეული სენტიმენტები მაქვს, მეტსაც გეტყვით, ჩვენი ურთიერთობიდან და განვლილი გზიდან გამომდინარე, მის მიმართ ადამიანური ვალდებულებებიც გამჩნია. ადამიანურ პრიზმაში მისი ბედი ჩემთვის სულ ერთი არ არის. რაც შეეხება პოლიტიკურ პრიზმას, მე უკვე დავკარგე იმის იმედი, რომ მას რამის გაკეთება შეუძლია.

ეს ძალიან დრამატულია. სანამ ის, როგორც ლიდერი, არსებობდა, მცირე იმედი მაინც მქონდა, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ახლა ამ იმედს საბოლოოდ ვკარგავ. ეს ჩემთვის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა.

– ამ ფონზე საკმაოდ ბევრს საუბრობენ, რომ შეიძლება ხელისუფლებაში ნაციონალები დაბრუნდნენ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, დაბრუნდებიან ნაციონალები?

– პირდაპირ გეტყვით, ნაციონალების დაბრუნებას არ ველოდები. ისინი ჩაკეტილ სისტემაში მუშაობენ.

ვთქვათ, მოვლენები ფანტასტიკური სცენარის მიხედვით განვითარდა და მათ საპრეზიდენტო არჩევნები მოიგეს, მერე რა?!

ისინი ამ არჩევნებს იმის გამო კი არ მოიგებენ, რომ მაღალი ნდობა აქვთ, არამედ, იმიტომ მოიგებენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიკეთა ხარაკირი. ხარაკირის გარდა სხვას ვერაფერს დავარქმევ იმ სიბრიყვეებს, რომლებსაც მმართველი პარტია ჩადის.

ასე რომ, ნაციონალებმა შეიძლება მოიგონ საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ პრეზიდენტი არ არის ხელისუფლების ცვლილება.

არც მაშინ შეიცვლება რამე, თუ სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს.

ის, რაც ახლა ხდება, აღარ არის არჩევნები. ეს არის რეალითი შოუ. ამომრჩეველს პოლიტიკურ ელიტასთან ყველა სახის კომუნიკაცია დაკარგული აქვს. ხალხს არავინ მოსწონს, არავინ აინტერესებს. არჩევნებზე ვინც წავა, წავა ერთჯერადი კონტრაქტით. ეს არ იქნება ხმის მიცემა, ეს იქნება ხმის გადაგდება სარგებლის გამო.

– რა სარგებლის გამო?

– გაზი გამიყვანე, ვიღაცა დამისაქმე, ამის გამო. შესაბამისად, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, მას ნორმალური, სახალხო ლეგიტიმაცია არ ექნება. ამიტომაც ეს არის რეალითი შოუ პრეზიდენტი.

გარდა იმისა, რომ გამარჯვებულ კანდიდატს სახალხო ლეგიტიმაცია არ ექნება, მას არც უფლებები აქვს. მხოლოდ დიდ სახლში იცხოვრებს. ან ქალი იქნება ის ვიღაც, ან კაცი. ჩემი აზრით, სულ ერთია, ვინ იქნება.

არჩევნებზე რაც არ უნდა შედეგი დაიდოს, ეს „ქართული ოცნების“ დეგრადაციას ვერ შეაჩერებს. ის გაგრძელდება და 2020 წელს ფატალურად დამთავრდება.

ასე თუ გააგრძელეს და შინაგანი რესურსი არ იპოვეს სისტემური ცვლილებისთვის, 2020 წელს მარცხისთვის არიან განწირული, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოლიტიკური ალტერნატივა ჯერ არ ჩანს.

– ბადრი პატარკაციშვილზეც მინდა გკითხოთ. ხელისუფლებამ დიდი სიამაყით გვამცნო მასთან დაკავშირებით საქმის გახსნა. პატარკაციშვილი თქვენი მეგობარი იყო და ამ ამბით დიდი აღფრთოვანება არ გამოგიხატავთ. სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ ის ადამიანები, რომლებსაც 2007 წელს პატარკაციშვილის ნეიტრალიზება სურდათ, დღევანდელ ხელისუფლებაშიც არიან წარმოდგენილი.

– ბადრის ნეიტრალიზაცია იყო მაშინდელი ხელისუფლების ამოცანა. ისინი მასში საფრთხეს ხედავდნენ. მის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი სისტემა მონაწილეობდა. დღევანდელი ხელისუფლების ყველა შტო იმ სისტემის ნამსხვრევებით არის გაჯერებული.

ამ ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ ბადრი და ზურაბ ჟვანია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ ამ საქმეების გამოძიების ნება კი არა აქვთ, არამედ არჩევნების წინ ნაციონალების წინააღმდეგ კომპრომატად იყენებენ.

მე ვიტყოდი, რომ ეს არის დიდი ფარსი და დღესაც გრძელდება. სოციალურ ქსელში დავწერე და აქაც ვიტყვი, რომ ფარისევლები ბადრის საფლავზე ცეკვავენ. აი, ასეთ სახეს ატარებს ეს ყველაფერი.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, ბადრის ნეიტრალიზებით ნაციონალები, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყვნენ და რაღაცებს გეგმავდნენ. ის, რომ ამ იდიოტებმა რაღაც განახორციელეს, ამისგან შორს ვარ.

ბადრი თუ მოკლულია, ის ბევრად უფრო სერიოზული ძალების მიერ არის მოკლული და არა – ამათ მიერ. ჯერ ისიც დასადგენია, რომ ის მოკლულია, მე ამაში დარწმუნებული არ ვარ.

მე ვიყავი ბოლო ადამიანი, ვინც თბილისში ბადრი ნახა. 2007 წლის 3 ნოემბერს შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. შეხვედრა მან მთხოვა. ამის მერე ის გაფრინდა და თბილისში აღარ დაბრუნებულა.

ეს ადამიანები რომ ბადრის ლონდონში მისწვდნენ და სკოტლანდ იარდმა ამაზე ვერაფერი გაიგო, იმდენად სასაცილო თემაა, რომ მისი კომენტირებაც კი ზედმეტია. მე ყველაზე მეტად გულისამრევ ფარისევლობაზე მეშლება ნერვები.

– ზემოთ აღნიშნეთ, ყოველი არჩევნების წინ ახსენებენ ჟვანიასა და პატარკაციშვილის საქმეებსო. როდემდე უნდა ივაჭრონ მიცვალებულებით?

– სანამ იქნებიან, ყოველი არჩევნების წინ გაახსენდებათ. როგორც კი არჩევნები გაივლის, ერთიც და მეორეც ყველას დაავიწყდება.

იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ვინც დღეს ყველაზე მეტს ყვირის ბადრის საქმეზე, მისი ნეიტრალიზების თანამონაწილე იყო.

ამ საქმეს პოლიტიკური ლოგიკითაც შევხედოთ. 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის თებერვლამდე პერიოდში (ბადრი 2008 წლის თებერვალში გარდაიცვალა) მიშა სააკაშვილის ხელისუფლებას ბადრის ლიკვიდაცია არაფერში სჭირდებოდა. ახლავე გეტყვით, რატომაც – ბადრის ლიკვიდაციის შემთხვევაში საპრეზიდენტო არჩევნებს იგებდა ლევან გაჩეჩილაძე.

მიშა სააკაშვილი არ არის ისეთი იდიოტი, რომ ამას ვერ მიმხვდარიყო. მის ინტერესებში იყო ბადრის დისკრედიტაცია და არა – ლიკვიდაცია. პატარკაციშვილის დისკრედიტაცია მათ კოდუას ჩანაწერით მოახერხეს. ამ ჩანაწერის გარშემო შეთქმულების თეორია განავითარეს.

ბადრის მკვლელობას აზრი 2007 წლის 2 ნოემბრამდე ჰქონდა. ვიღაც ბრიყვები შეიძლება რაღაცებს გეგმავდნენ, მაგრამ 2 ნოემბრის შემდეგ მისი ლიკვიდაცია სააკაშვილისთვის, პოლიტიკური ლოგიკით, წამგებიანი იყო. ის ასეთ შემთხვევაში აუცილებლად წააგებდა არჩევნებს.

– არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს ჩატარდა, პატარკაციშვილი 2008 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

– არჩევნების შემდეგ მის ლიკვიდაციას რაღა აზრი ჰქონდა, მიშას შედეგი უკვე მიღებული ჰქონდა, საპრეზიდენტო არჩევნები მოგებული იყო.

– პატარკაციშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს საქართველოში როგორი ვითარება იქნებოდა?

– ბადრი პატარკაციშვილი და ზურაბ ჟვანია ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ამ ქვეყანაში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზვიად ძიძიგური: „არასამთავრობოებმა თეა წულუკიანზე შურისძიება ცადეს“

„ისინი საკადრო პოლიტიკაში ერევიან. მათ საქმიანობას პოლიტიკური შეფერილობა უნდა ჩამოშორდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, საქართველოში ელიტური კორუფცია კვლავ გამოწვევად რჩება. მისი რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას ისეთი ანტიკორუფციული სამსახური, რომელსაც ექნება საზოგადოების მაღალი ნდობა და დამოუკიდებელი იქნება, რათა ეფექტურად გამოიძიოს ელიტური კორუფციის ფაქტები.

ორგანიზაცია კვლევაში რამდენიმე გახმაურებულ საქმესაც ასახელებს, სადაც კორუფციის ნიშნები ჩანს. მათ შორის:

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის იოსებ გოგაშვილის ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მიერ დიდი ოდენობით ქონების დაუფლება;

– ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის მონაწილეობა თბილისის მერიასთან დაკავშირებულ საეჭვო გარიგებებში, რასაც აუდიტის სამსახურის მიერ ფაქტის გამოვლენის შემდეგ მოჰყვა იმ დროს მოქმედ გენერალურ აუდიტორზე თავდასხმა ფარცხალაძის მიერ;

– საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებში არსებული შესაძლო დარღვევები, სადაც საეჭვო პროექტებთან და შესყიდვებთან მიმართებით მინისტრების სახელები ფიგურირებს;

– ზუგდიდი ყოფილი მერის, ლაშა გოგიას საქმე სადაც ერთ-ერთი ბიზნესმენი მერს კორუფციაში ამხელდა და მისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვდა;

– საგარეო საქმეთა სამინისტროს საეჭვო შესყიდვა, სადაც მინისტრის მოადგილე და მისი ძმის საკუთრებაში არსებული კომპანია ფიგურირებს;

– ომეგა ჯგუფის საქმეზე გავრცელებული ფარული ჩანაწერები, სადაც შესაძლო სამოხელეო დანაშაულის შემცველ ეპიზოდებში მონაწილეობენ სპორტის ყოფილი მინისტრი და ყოფილი მთავარი პროკურორი.

გაითვალისწინებს თუ არა მმართველი გუნდი რეკომენდაციას, შექმნის თუ არა ასეთ სამსახურს და რა პოზიცია აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით? – ამ თემებზე „ახალი თაობა“ პარლამენტის ვიცესპიკერ **ზვიად ძიძიგურს** ესაუბრა.

– რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა კვლევა ელიტურ კორუფციაზე. ჩამოთვლილია ფაქტები, სადაც კორუფციის ნიშნები იყო. რეკომენდაციაა ხელისუფლების მიმართ, რომ შეიქმნას ანტიკორუფციული ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანო, რათა ასეთი ფაქტების ეფექტური გამოძიება მოხდეს. რა პასუხი გაქვთ ხელისუფლებაში?

– ამ თემაზე უმრავლესობის ფორმატში აუცილებლად გვექნება მსჯელობა. მოგეხსენებათ, ახლა ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის რეჟიმია და უმრავლესობა ასეთი ტიპის შეკრებას ვერ ახერხებს.

როგორც კი იქნება პირველივე შესაძლებლობა, ასეთი საკითხები იქნება განხილული. ასეთ საკითხებზე უმრავლესობა მსჯელობს ხოლმე. ჩვენ ვართ პოლიტიკური გუნდი და ამაზე გადაწყვეტილებას აუცილებლად მივიღებთ.

– კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებთ? არის კორუფციის ნიშნები?

– კორუფცია სისტემური არ უნდა იყოს, თორემ კორუფცია დედამიწის ზურგზე ყველგან არის. სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ. საქმე ის არის, არის თუ არა კორუფცია სახელმწიფოსგან წახალისებული და არის თუ არა შემჩნეული სახელმწიფო სტრუქტურებში. ამისგან ჩვენ დაცულები ვართ. საერთაშორისო კვლევებში კორუფციის ინდექსებით საქართველო ძალიან კარგ პოზიციებზეა. ჩვენ ამით ყველანი ვამაყობთ. რაც შეეხება გაუმჯობესებას, გაუმჯობესების მიმართულებით, ყოველთვის, ყველა მიმართულებით უკეთესი იქნება მუშაობა.

– კვლევაში საუბარია იმაზე, რომ არ ხდება ეფექტური გამოძიება.

– როგორც გითხარით ამ თემებზე ჩვენ აუცილებლად გვექნება მსჯელობა და გადაწყვეტილებებიც ამის მიხედვით იქნება მიღებული.

– თქვენც იზიარებთ პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას, რაც მან არასამთავრობო სექტორთან მიმართებით გააკეთა, თანაც საკმაოდ არაეთიკური ტონით?

– არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით მე არაერთხელ დამიფიქსირებია ჩემი პოზიცია. სამწუხაროდ, ხშირად ვხედავთ, როდესაც ისინი აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს. ეს არ არის მხოლოდ ამ შემთხვევაში, როდესაც ფარული ჩანაწერები გამოქვეყნდა, ეს ჩანაწერები ძალიან სერიოზულად შეიცავდა ეჭვის შემცველ კითხვებს და ამ კითხვებს აჩენდა.

სამწუხაროდ, არასამთავრობო სექტორმა ეს ჩანაწერები, როგორც ერთადერთი მტკიცებულება, ისე წარმოაჩინა. შემდეგ კი ძალიან შორსმიმავალი დასკვნები გააკეთეს. მე ვფიქრობ, რომ არასამთავრობო სექტორი უფრო მეტი კვალიფიკაციითა და არგუმენტაციით უნდა აკეთებდნენ

დასკვნებს. მათ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც, პოლიტიკური მოტივაციიდან გამომდინარე, დაინტერესებულები არიან.

არასამთავრობოები არც საკადრო საკითხებში უნდა ერეოდნენ ისე, როგორც ერევიან. რამდენიმე თვის წინ იყო სერიოზული ჩარევა, როდესაც ისინი ახალი მთავრობის ფორმირების პირობებში ითხოვდნენ ცალკეული მინისტრების შესახებ, რომ აი ის არ უნდა იყოს თანამდებობაზე და ეს უნდა იყოს. არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკურ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ.

როდესაც ისინი ერევიან საკადრო პოლიტიკის საკითხებში, როდესაც აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომელიც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის განცხადებებს ჰგავს, ეს არ არის სასიამოვნო მოსასმენი.

მიმაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ პოლიტიკური შეფერილობა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას უნდა ჩამოშორდეს. სხვაგვარად მათი გავლენა ქვეყანაში ვერ იქნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

– ვის ზე თქვეს, რომ ის კონკრეტული პირი არ უნდა იყოს მთავრობაში?

– მაგალითად, წულუკიანის საწინააღმდეგო კამპანია ჰქონდათ დაწყებული. ეს მე ვიცი ზუსტად, რატომაც ჰქონდათ.

– რატომ?

– წულუკიანი იყო მოსამართლეების უვადო დანიშვნის მოწინააღმდეგე, არასამთავრობოები ამის მომხრეები იყვნენ. ეს იყო რამდენიმე თვის წინ. მათ შორის რაღაცა სერიოზული უთანხმოების საგანი გახდა და შემდეგ სამაგიერო იმით გადაუხადეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა თეა წულუკიანს, რომ ასეთი ტიპის თავდასხმა განახორციელეს მასზე.

ეს არის პოლიტიკური პროცესისთვის დამახასიათებელი, მაგრამ არასამთავრობოებისთვის სახელმძღვანელო საკითხები ეს არ უნდა იყოს.

– ანუ იმას ამბობთ, რომ წულუკიანის მიმართ არასამთავრობოებისგან შურისძიება იყო?

– ასე ჩანდა. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა და არ მინდა, რომ ეს ასე იყოს. მინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ყველა დასკვნა უფრო კვალიფიციური იყოს. იმიტომ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრებზე არის ძალიან ბევრი საქმე, რომელიც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს. მათ შორის ხელისუფლების კონტროლის თვალსაზრისით. ხელისუფლების კონტროლი უნდა მოხდეს კონკრეტული გადაცდომებისა და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით და არა ისეთი ჩანაწერების აპრიორი მტკიცებულებად მიღებით, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ.

შეუიარაღებელი თვალით ჩანდა, რომ ეს იყო დადგმული სპექტაკლი, რომელსაც ერთი ოპოზიციური პარტია და ერთი ოპოზიციური ტელევიზია ახორციელებდა.

– „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებულ ჩანაწერებს გულისხმობთ?

– დიახ. ამას ვგულისხმობ.

– ანტიკორუფციულ თემაზე საბა ბუაძემ რადიო თავისუფლებასთან თქვა, რომ ხელისუფლებამ ფაქტები ეფექტურად უნდა გამოიძიოს, საზოგადოების კითხვებს უპასუხოს და არა ისე, რომ თავს დაესხას არასამთავრობო სექტორს.

– ამაზე ვისაუბრეთ თქვენს წინა კითხვებში. ერთი, რაც მინდა გითხრათ, ისაა, რომ კორუფციასთან ბრძოლის თემა ყოველთვის, ყველა პერიოდში საინტერესოა და, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით გაუმჯობესება კიდევ უფრო მეტად სასურველია.

როგორც მოგახსენეთ, ყველა რეკომენდაციას ძალიან ყურადღებით განვიხილავთ. არასამთავრობოებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს შორის უთანხმება წარმოშვა იმან, რომ არასამთავრობოები პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ. ეს არის თემა და მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება თვალნათლივ ხედავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა უფრო მეტად კვალიფიციური უნდა გახდეს.

სცენეს თუ არა საკანში მირზა სუბელიანს

პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი ხელისუფლებას დამხობით ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ჩანაწერების ომი ეშხში შევიდა. რუსთავი 2-მა მირზა სუბელიანისა და ვიქტორ ჯაფარიძის საუბრის ახალი ფრაგმენტი გამოაქვეყნა. წინა საუბრების მსგავსად, ეს საუბარიც სკანდალურ დეტალებს შეიცავს.

სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა მირზა სუბელიანის შესახებაც. გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სუბელიანი სასტიკად არის ნაცემი.

– ამ წუთებში მივიღე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მირზა სუბელიანი არის სასტიკად ნაცემი!

მივმართავ იუსტიციის სამინისტროს – ჟურნალისტებს მოგვცეს საშუალება, მოვინახულოთ გლდანის ციხეში მირზა სუბელიანი!

ცუხიშვილის შესვლა თუ შეიძლებოდა მასთან, ჩემი რატომ არ შეიძლება?!

მივმართავ დიპლომატიურ კორპუსს, დაუყოვნებლივ მოითხოვეთ პატიმარ სუბელიანთან შეხვედრა! – დაწერა ჟურნალისტმა გუშინ საღამოს ფეისბუქში.

სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა ეს ინფორმაცია თითქმის მაშინვე უარყო.

– სპეციალური პენიტენციარული სამსახური კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბრალდებულ მირზა სუბელიანზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა. ბრალდებული 24-საათიანი ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სპეციალური პენიტენციარული სამსახური მზადყოფნას გამოთქვამს, რომ თუკი დაცვის მხარეს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების სურვილი აქვს, ბრალდებული მირზა სუბელიანი დაუყოვნებლივ მოინახულოს მისმა ადვოკატმა, – ნათქვამია განცხადებაში.

რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში სუბელიანი ამბობს, რომ მას აქვს ჩანაწერი, რომელიც ხელისუფლებას დაამხობს.

აუდიოფაილიდან ირკვევა, რომ ის ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე გაბრაზებულია და საკუთარი თავი გადაზღვეული აქვს იმ მტკიცებულებებით, რომლებიც 2014 წლამდე მოიპოვა.

– ვიცი, ადვოკატს როგორც უნდოდა, ისე გაუკეთეს, მაგრამ, მე რომ ჩავხსნილიყავი, ძმაო, მე არაფერში არ ვერევი, მაგრამ თვითონ იქნებიან ყველაფერზე პასუხისმგებლები. მაგრამ პასუხისმგებელი იქნებიან არა წარსულზე, არა, ძმაო. 2014-მდე რაც გამიკეთებია. იქ იმაზე დავარტყამ, ისეთ დონეზე დავალ, ისეთს დავარტყამ, ბო... ვიყო, ვერ აეწყობიან, დამიჯერე რა. ისე მაქვს თავი გადაზღვეული, მაგათ წარმოდგენა არ აქვთ ესე. მე ერთადერთ, რაც თავი მაკავებს, შენ რომ არ იყო და სოზარი. თქვენ ორი რომ არ იყოთ, ჩემი აქ ჩამჯდომის დედა.....

სარალიძე რომ გამოდის და მთავრობის გადადგომას ითხოვს. როგორ, ბიჭო, რა შემეშალა. აგერ არის სოზარი, დამიჯერე, 12 კაცს გამოვიყვან, ძმაო, მე გამოვედი, მე ვეხვეწებოდი, წავალ, გავაკეთებ და მე მახოცავენ კიდევ ხელებს. მაგრამ ეს დედის მოგ....ან ასე არ დასრულდება, – ამბობს სუბელიანი.

ჩანაწერის თანახმად, ის დეპუტატს შესჩივის, რომ ხელისუფლებამ სათანადოდ არ დააფასა, ამბობს, რომ ყველას სამაგიეროს გადაუხდის და ის კაცი არ არის, ჟურნალისტებთან წავიდეს და მათ მოუყვეს ყველაფერი. ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნისთვის ბევრი რამე აქვს გაკეთებული.

– თუ იმას ვერ ხვდებიან, რა ფასი ვარ მე მაგათთვის, ყველას მო. ვინც მაგას ვერ ხვდება, რასაც მე ვაკეთებ ქვეყნის გამო რა. აქ ერთი წელი ჩემთვის ჯოჯოხეთია, ბოლომდე მივალ, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, მაგრამ, რომ არ შევარჩენ, პირობას რაღაცას რომ დაარღვევენ, ღმერთის წინ გეფიცები, წმინდა გიორგის ხატზე დავიფიცებ, თუ ვინმეს რამეს შევარჩინო. მე ის კაცი არ ვარ, წავიდე და ჟურნალისტებთან დავჯდე, მაგრამ, თუ შევარჩინო, მერე ველარც ესკორტი და ვერაფერი უშველის, – აღნიშნავს პატიმარი.

ის ფარულ აუდიოჩანაწერში აცხადებს, რომ სოზარ სუბარის ხათრით თავს იკავებს და ხელისუფლებას არ ამხობს.

საკნის დიალოგებიდან ირკვევა, რომ სუბელიანს, სავარაუდოდ, ფარული მიყურადების შედეგად 2014 წლამდე მოპოვებული აქვს კომპრომატები.

რუსთავი 2-ის საიტის ცნობით, აუდიოფაილიდან დგინდება, რომ მირზა სუბელიანს დაკავებამდე სულ სხვა პირობა მისცეს, საკანში გადაყვანის შემდეგ კი სხვა რეალობა დახვდა. ის ვიქტორ ჯაფარიძის საშუალებით ცდილობს, ხელისუფლებას შეუთვალოს, რომ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ მოგროვებულ კომპრომატებს არ გაყიდის, თუმცა შურს დარღვეული პირობების გამო იძიებს.

საკნის დიალოგებიდან ირკვევა, რომ მირზა სუბელიანი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილოა. მისი თქმით, 2013 წელს სისტემიდან გაშვებული კადრები შს სამინისტროში უკან დააბრუნეს და დააწინაურეს. სუბელიანი ასეთ მაგალითად შს გენერალური ინსპექციის უფროსს, ალექსანდრე ხოჯევანიშვილს, ასახელებს.

კურიერში გასული აუდიოჩანაწერის მიხედვით, მირზა სუბელიანი იმ პირებზეა გაბრაზებული, რომელთა გამოც დანაშაული დაიბრალა და ციხეში ჩაჯდა. პატიმარი დეპუტატს უყვება, რომ ციხეში მას სათანადოდ არ უვლიან.

პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ რთულ პირობებზეც საუბრობს. მათ შორისაა საკვები, დამოკიდებულება, ოჯახის წევრებთან პაემნები და ამანათების ციხეში შეგზავნა.

მირზა სუბელიანი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესაძლო არეულობას არ გამორიცხავს და სავარაუდო თარიღსაც ასახელებს.

* * *

ამ საუბრების გამოქვეყნებით აღშფოთებულია დეპუტატი ემზარ კვიციანი და ის ხელისუფლებას მირზა სუბელიანის დაცვისკენ მოუწოდებს.

– ხელისუფლებას მივმართავ, დაიცავით მირზა სუბელიანის უფლებები და საჯიჯგნად ნუ გყავთ ქცეული! დააშავა? თავის დანაშაულს არ გაურბის და ზის, განაჩენს ელოდება! წარსულს ედავებით? მაშინ ჯერ ხელმძღვანელები მიუჯინეთ, ვის ბრძანებებსაც ასრულებდა! შეეშვით ფარულად კუთხურ დისკრიმინაციას, ცალკე ჟურნალისტები და ცალკე ხელისუფლების ყველა შტო, – აცხადებს კვიციანი.

ის ამბობს, რომ სუბელიანის თემაზე სვანები აუცილებლად ამოიღებენ ხმას, მაგრამ ჯერ თავს იკავებენ.

მისი თქმით, წაქცეულ ადამიანზე თავდასხმები უღმერთობაა. დეპუტატი ამბობს, რომ ის, საჭიროების შემთხვევაში, ქუჩაში გავა.

– ხმას რომ არ ვიღებთ სვანეთის წარმომადგენლები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ველოდებით, რას გადაწყვეტს სასამართლო! ადამიანი როცა წაიქცევა, მისი დაკორტნა მხოლოდ გვარამიასნაირებს შეუძლიათ და მის ხასიათში მორგებულ სპეცსამსახურებს, რომლებიც კარგად შეფარულად აღვივებენ კუთხურ კონფლიქტს, რათა მიზანს მიაღწიოს გარეშე მტერმა!

კიდევ ერთხელ მოკრძალებით ქართულ საზოგადოებას მინდა გთხოვოთ, ყველაფერს ნუ დაიჯერებთ, რასაც სუსი მოგიმზადებთ. ის ყოველთვის თავის სამზარეულოში გვიმზადებს საწამლავს! ამიტომ რუსთავი 2 ყოველთვის იყო მათი მთავარი მოკავშირე და ეს გვარამიამ კიდევ ერთხელ აღიარა თავის გამოსვლებში!

მირზა სუბელიანი ეხლა შეიძლება იმყოფებოდეს აგონიადეპრესიაში, მისი ყველა სიტყვა და საქციელი იყოს მიმართული თვითგადარჩენისკენ და ამ დროს მისი საუბრის გასაჯაროება ემსახურება მხოლოდ უღმერთობას. უღმერთოები ვინცა გვყავს ქვეყანაში, ყველამ კარგად ვიცით!

შეწყვიტეთ ადამიანების უბედურების ვიწრო პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება!!! გთხოვთ, ნუ გვაიძულებთ, გამოვიდეთ ქუჩაში და ქუჩაში მირზას გულისთვის არა, მაგრამ მისი მშობლებისა და ოჯახის დასაცავად ნამდვილად გამოვალთ, – აღნიშნავს საგანგებო განცხადებაში დეპუტატი.

ემზარ კვიციანი: „ხელისუფლებას მივმართავ, დაიცავით მირზა სუბელიანის უფლებები და საჯიჯგნად ნუ გყავთ ქცეული!“

ლალი აფციაური: „ვის რაში სჭირდება სააკაშვილის ლიკვიდაცია. ის დიდი ხანია, პოლიტიკური გვამია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **ლალი აფციაური** პასუხობს.

– ქალბატონო ლალი, ფარულმა ჩანაწერებმა და კომპრომატების ომმა მოიცვა მთელი ქვეყანა. იყო წინასაარჩევნოდ ამის მოლოდინი, მაგრამ ასეთსაც არავინ ელოდა. ბევრს ეგონა, რომ წინა ხელისუფლებასთან ერთად დასრულდა მიყურადება და ფარული ჩანაწერები, თუმცა სხვა რეალობაა. რას იტყვით თქვენ?

– იცით რა, არ დასრულდება. გამომდინარე იქიდან, რომ წინა ხელისუფლებამ გაიტანა ყველა ის ტექნიკა, რაც ამ მოსმენებთან იყო დაკავშირებული.

– დღეს რა ხდება, დღეს ვინ უსმენს?

– აქედან გამომდინარე, დღესაც ესენი უსმენენ, ხელისუფლება არ უსმენს. უსმენს ის ხალხი, ვინც ხელისუფლებაშია შეპარული, მაგრამ კავშირშია ოპოზიციასთან, ანუ ყოფილი ნაცები, რომლებიც დღეს საკმაოდ მრავლად არიან ხელისუფლებაში. სულაც არ მიკვირს ეს ამბავი. ასე გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ეს ყოფილი ნაცები, ის ჩინოვნიკები რაღაცა გზებით კვლავ რჩებიან თანამდებობაზე.

– თუმცა ფარცხალაძის შემთხვევაში ორივე მხარემ დადო ჩანაწერები, როგორც პროკურატურამ, ისე ოპოზიციამ.

– ფარცხალაძესთან მიმართებით მე მაქვს აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია. ვიდრე ფარცხალაძე ასე იქნება, ვინმესთან დაახლოებული პირი, ვიდრე ფარცხალაძე იქნება ასე ხელდასმული, ყოვლისშემძლე, ამ ქვეყანაში მუდმივად იქნება ეს პრობლემა.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მე მაქვს ამის თქმის მიზეზი, ტყუილად არაფერს ვამბობ, რა თქმა უნდა, ახლა დეტალებში არ შევალ.

– პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის საქმე გახსნა. აქაც ფარული ჩანაწერები ფიგურირებს. თქვენ ამ თემაზე ჯერ კიდევ 2007 წელს მოიპოვეთ ფარული ჩანაწერი,

სადაც საუბარი იყო პატარკაციშვილის მკვლელობის დაგეგმვაზე. რას იტყვით ამაზე?

– დიახ, გახსოვთ ალბათ, საკმაოდ ხმაურიანად წარიმართა ეს პროცესები. ეს ჩანაწერები მე გადმომცა პაატა მამარდაშვილმა. გახსოვთ თქვენ ასეთი პიროვნება, ე.წ. კანონიერი ქურდი. ეს ჩანაწერები მოიპოვა თავადვე, თავისი საშუალებით.

საპყრობილეში დგებუაძე, ე.წ. მასტერა, ხვდებოდა მას და სთხოვდა ქილერის მოძებნას ბადრი პატარკაციშვილის გასანადგურებლად და ამბობდა, რომ ვიდრე ბადრი პატარკაციშვილი იყო ცოცხალი, მათ პრობლემები ექმნებოდათ გირგვლიანისა და სხვა საქმეებთან დაკავშირებით.

ეს ჩანაწერები, დიახ, მე გადმომცა მამარდაშვილის ოჯახმა.

– თუმცა შემდეგ მამარდაშვილმა ეს ფაქტი უარყო. რატომ, რა მოხდა?

– იმ დროს მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიმეტანა პატარკაციშვილის ყურამდე მის წინააღმდეგ დაგეგმილი მკვლელობა. ვინაიდან მასთან ყველაზე დაახლოებული პირი იყო იმ კონკრეტულ შემთხვევაში გიორგი თარგამაძე, მივიტანე ეს ჩანაწერი გიორგი თარგამაძესთან და ვთხოვე, რომ ეს ინფორმაცია მიეწოდებინა ბადრი პატარკაციშვილისთვის და ეს არ გაეჟღერებინათ, ვიდრე მამარდაშვილს არ დავკითხავდით და ის არ მისცემდა სასამართლოზე ჩვენებას.

კატეგორიულად გავაფრთხილე ამის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იყო რეალური საფრთხე იმისა, რომ მომხდარიყო მამარდაშვილის ლიკვიდაცია. კატეგორიული გაფრთხილება მივეცი და არც კი დავტოვე დისკი.

– თუმცა ეს ჩანაწერი მაინც გავიდა.

– აღმოჩნდა, რომ თარგამაძემ ეს ჩუმად გადაიწერა მოსმენის დროს, ჩუმად გადაიტანა თავის პირად კომპიუტერში, რა თქმა უნდა, ნებართვის გარეშე და მეორე დღეს, როდესაც სიუჟეტი გადიოდა დროებაში, დამირეკეს კომენტარისთვის.

მაქსიმალური ზომები მივიღე, რომ არ გაჟღერებულიყო, მაგრამ გიორგი თარგამაძემ გამორთო ტელეფონი, არ პასუხობდა ჩემს ზარებს და ეს სიუჟეტი მაინც გავიდა.

ამას შემდეგ მოჰყვა ზეწოლა მამარდაშვილზე. ის პროცესზე მოიყვანეს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ და იმდენად დიდი დოზით ჰქონდა ნარკოტიკი მიღებული, რომ პროცესზე გახდა ცუდად. რა თქმა უნდა, შემდეგ შეცვალა ჩვენება და თქვა, რომ ეს დისკი მას არ მოუცია და არ იცოდა, საიდან ჰქონდა აფციაურს. მათ ვერ გათვალეს ერთი რამ...

– რა ვერ გათვალეს?

– როდესაც მამარდაშვილის ოჯახმა ჩემთან მოინდომა შეხვედრა დისკის გადმოსაცემად, მე თქვენს კოლეგას დავურეკე და ვთხოვე, რომ სასწრაფოდ მოსულიყო, ჩემთან ოფისში შემოსულიყო ჩართული დიქტოფონით და ჩვენ ჩავიწერეთ მამარდაშვილის ოჯახის წევრების საუბარი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ ვენდობოდი მამარდაშვილსა და მის ოჯახს. როგორც ჩანს, ინტუიციით ვიგრძენი, რომ ასე მოხდებოდა და ჩავიწერე ჩვენი საუბარი. მერე უკვე როდესაც ეს ჩანაწერი დავდეთ, უკვე ვეღარ უარყვეს მამარდაშვილებმა, რომ სწორედ მათ გადმომცეს ეს ჩანაწერი, რომელიც თვითონ მამარდაშვილს ჰქონდა მოპოვებული ციხეში.

– ამ ჩანაწერს არ მოჰყვა რაიმე სახის რეაგირება?

– მე ეს ჩანაწერი 2012 წელში გადავეცი პროკურატურას, ჩვენებაც მივეცი ამის თაობაზე, თუმცაღა პროცესებზე არ დავკითხულვარ.

– საქმის გახსნის დროს რამდენად გამოადგებოდათ ეს ჩანაწერი?

– ახლა რაც გამოაქვეყნა პროკურატურამ, სხვა ჩანაწერებია. ეს არ არის ის ჩანაწერები, რომლებიც მე გადავეცი 2012 წელს პროკურატურას. მე არ ვფლობ ინფორმაციას, ეს ჩანაწერები საიდან მოიპოვეს და არც ადრე ვიცოდი რამე ამის თაობაზე.

რას აკეთებდა ძველი ხელისუფლება და დღეს როგორ გონორზე არიან. როგორ არ რცხვენიათ! სააკაშვილის ლიკვიდაცია იგეგმებოდაო და ამიხსენით ერთი, ვის რაში სჭირდება, ვის სჭირდება სააკაშვილის ლიკვიდაცია?! პოლიტიკურად უკვე გარდაცვლილი სააკაშვილი ვის რაში სჭირდება?! გამარკვიეთ ვინმემ და ამიხსენით! ვინმეს ცოცხალი ჰგონია სააკაშვილი? ის დიდი ხანია, პოლიტიკური გვამია.

– ვის სჭირდება დღეს ეს ყველაფერი?

– ეს ყველაფერი ნაცების მორიგი მოდელირებული სპექტაკლებია. ამაში კარგად დაოსტატებულები არიან.

მე განსაკუთრებულად კარგად მახსოვს ყველაფერი იმიტომ, რომ მთლიანად ჩართული ვიყავი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, თავი მქონდა გადადებული. ახლა ვის სჯერა მათი სპექტაკლების! მათი ხელწერა ჩემთვის ისე კარგად არის ცნობილი, რომ ვუყურებ ამ დადგმულ სპექტაკლებს და უკვე წინასწარ ვიცი, რას რა უნდა მოჰყვეს, რის შემდეგ რა უნდა თქვან.

ეს ყველაფერი სჭირდებათ წინასაარჩევნოდ. მათ იმედი აქვთ რაღაცის, მაგრამ, გარწმუნებთ, მათი მობრუნების შანსი არ არსებობს! მე, როგორც ერთი ადამიანი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ისინი არ მობრუნდნენ!

პეტრე მამრაძე: „ახლანდელი არჩევნები 1992 წლის არჩევნებისგან არაფრით გამოირჩევა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილ წევრ **პეტრე მამრაძეს** იოტისოდენადაც არ ეპარება ეჭვი, რომ პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების შესახებ ბრძანება პირადად სააკაშვილმა გასცა.

პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ ასევე საუბრობს იმაზე, თუ რით გამოირჩევა ახლანდელი წინასაარჩევნო პერიოდი აქამდე ჩატარებული მრავალი არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისაგან და როგორია ის ტექნოლოგიები, რომლებიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენება.

– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, წინასაარჩევნოდ ქვეყანაში დიდი აურზაურია – ჩანაწერების ომი, ურთიერთდაპირისპირება, ძალადობრივი მეთოდებიც კი გამოიყენება. თქვენ დიდი ხნის პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია გაქვთ და ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდით პროცესებს სხვადასხვა არჩევნების დროს. ახლანდელი არჩევნები რით გამოირჩევა? როგორია ის ტექნოლოგიები, რომლებიც წინასაარჩევნოდ გამოიყენება და ვითარებას როგორ აფასებთ?

– ჩემი აზრით, ახლანდელი არჩევნები არაფრით გამოირჩევა. კარგად მახსოვს 1992 წლის არჩევნები. მაშინ მოდაში იყო ავტომატიდან ოფისების ჩაცხრილვა. ოფისებს კალაშნიკოვებით ცხრილავდნენ. როგორც წესი, ამას თვითონ პარტიები აკეთებდნენ.

– პარტიები თვითონ თავიანთ ოფისებს ცხრილავდნენ?

– დიახ, მერე აცხადებდნენ, ვიღაცებმა ოფისი ჩაგვიცხრილესო. ყურადღების მიქცევის მიზნით ხდებოდა. მით უმეტეს, როცა ისეთი ქაოსი იყო, პოსტსაბჭოური სივრციდან გამოსვლის პირობებში ვერც ერთი გამოძიება ვერაფერს დაადგენდა. აწყობილ ქვეყანასა და დასავლეთში ვინმემ პარტიის ოფისი რომ დაცხრილოს, ხომ ცხადია, რა ამბავი ატყდება.

გარდა ამისა, არჩევნების დროს საქართველოში ყოველთვის იყო ოპონენტის ლანძღვა. გულწრფელად რომ ვთქვა, შევარდნაძე ამას არასოდეს კადრულობდა, კონკურენტს არ ლანძღავდა, მაგრამ საზოგადოდ ლანძღვა სავსებით მიღებული იყო. არც ეს არის ახალი.

– ტექნიკის განვითარებამ გავლენა არ მოახდინა?

– დიახ, ტექნიკა რომ ვითარდება, ტექნიკის განვითარების კვალობაზე ჩანაწერები გახშირდა. ადრე ამის საშუალება ნაკლებად იყო, ახლა უფრო მეტად არის. სოციალური ქსელები ამოქმედდა. 90-იან წლებში ფეისბუქი არ იყო, ახლა არის. ტექნიკის განვითარების კვალობაზე, ჩანაწერები გახშირდა, მაგრამ არსებითად რაიმე ახალს ვერ ვხედავთ.

ჩვენ გვახსოვს ქვების სროლა ან ავტომატიანი და ნიღბიანი ადამიანისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა.

– დიახ, სამეგრელოში იყო.

– ანდა ცემა-ტყეპის არაერთი ფაქტი. ახლაც თვალწინ მიდგას, აჭარაში წაქცეული დათო ბერძენიშვილი ფეხებით რომ ცემეს. ამ მხრივ, თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ დღეს რაღაც განსაკუთრებული ხდება, როგორც მეცნიერი, მზად ვარ, მოვისმინო.

– შევარდნაძე ოპონენტის ლანძღვას არ კადრულობდაო, მაგრამ მისი თანაპარტიელები იმ ლანძღვაში არ იყვნენ ჩართული?

– როგორ არა. ოღონდ ფორმა სხვა იყო. იგივე სააკაშვილი 1999 წელს ფილარმონიაში ყვიროდა, რომ ასლან აბაშიძისა და ჯუმბერ პატიაშვილის სახელები ისე შევა ისტორიაში, როგორც სამარცხვინო და მერე აღარავის გაახსენდება, ჩვენი პრეზიდენტი შევარდნაძე კი ისტორიაში სამარადჟამოდ შევა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი და ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით ვდგავარო. ამას ყვიროდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი.

– შემდეგ სააკაშვილი და ძმანი მისნი ყოველთვის ცდილობდნენ, შევარდნაძესთან მათი თანამშრომლობა დაევიწყებინათ საზოგადოებისთვის, ის პერიოდი ჩამოეშორებინათ და ჩამოერეცხათ.

– დიახ, შემდეგ აცხადებდნენ, რომ შევარდნაძეს არაფერი გაუკეთებია. მანამდე გადაჭარბებით ილაპარაკა, რომ ყველაფერი გაკეთდა, ქვეყანა ბოლომდე აშენდა. მერე სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, ყვიროდა, რომ შევარდნაძის პერიოდში არაფერი გაკეთებულა, ანუ მაშინ ხალხს ატყუებდი, როცა აცხადებდი, ქვეყანა აშენდაო?

– შეიძლება, ბოლო პერიოდში შეგნებულადაც აკეთებდნენ ისე, რომ ხალხი რაც შეიძლება მეტად აღელვებულიყო, წარმატებები თუ იყო, არ გამოჩენილიყო, ან ხელს უწყობდნენ და შეგნებულად ხდებოდა დენის გამორთვა.

– ეგ არ ვიცი, მაგრამ ერთი საარჩევნო კამპანიის დროს ამბობდა, რომ ქვეყანა ააშენა, მეორე კამპანიის დროს სხვას აცხადებდა. უცხოეთის ქვეყნებში ამას მაშინვე წინ დაუდებენ და ყოველდღე ტელევიზიით ამაზე ილაპარაკებენ, მაშინ ამას ამბობდა, დღეს კი ამას ამბობსო. ან მაშინ იტყუებოდა, ან ახლა ტყუისო.

– ჩვენს მედიას წინა პერიოდი ავიწყდება?

– მედიასაც ავიწყდება და მოსახლეობასაც. ჩვენთან არ არის ისეთი საარჩევნო კამპანია, როგორიც განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ მთავარია ის კურიოზი, წინააღმდეგობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საერთო-სახალხო არჩევნებით ვირჩევთ პრეზიდენტს, რომლის ფუნქციები იმდენად მკაცრად არის განსაზღვრული და შემოფარგლული წარმომადგენლობითი და საარბიტრაჟო დანიშნულების ფუნქციებით, რომ აქ რაიმე კამპანიასა და პროგრამაზე ლაპარაკი ზედმეტი და სასაცილოა.

– ზოგიერთის განცხადება მოვისმინე, რომ ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნები უფრო რეფერენდუმია, ვიდრე არჩევნები. ამიტომ გამწარებული არიან და გამარჯვებისთვის იბრძვიან, განსაკუთრებით – ნაცმოძრაობა.

– თუ კანდიდატი პატიოსანი ადამიანია, რომელსაც არ შეუძლია, ხალხს ტყუილები უთხრას, არ შეუძლია, შეჰპირდეს ის, რაც თვითონვე იცის, რომ ფანტაზიაა, ასეთი კანდიდატი არ იკადრებს, ილაპარაკოს, პრეზიდენტი რომ გავხდები, პენსიებსაც გავზრდი და ვითარებასაც შევცვლიო. შეხედე შენს სამუშაო ადგილსა და ფუნქციას. ეს შენ საერთოდ არ გეხება და ვერც შეეხები, ძალიანაც რომ გინდოდეს.

– თუ ნაციონალები გაიმარჯვებენ, არ უშვებთ, რომ შეიძლება სამუშაო ადგილი დიდ რეზიდენციაში ჰქონდეთ? მშვენიერი სამუშაო ადგილი ექნება.

– კანონის დონეზე გადაწყვეტეს, რომ პრეზიდენტის სამუშაო ადგილის მისამართი არის ათონელის ქუჩა, ორბელიანის ყოფილი სასახლე. ფიზიკურად არ დაუშვებენ იმას, რომ პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში შევიდეს. ეს მე რომ მოვიკითხე, ასე მითხრეს, ამ ფონზე, როდესაც ეს შეცდომა დაშვებულია და ვითომ კომპრომისის შედეგად. პრეზიდენტის საერთო-სახალხო წესით არჩევის ბოლო არჩევნებია. შემდეგი პრეზიდენტი აირჩევა კოლეგიის მიერ. ეს ქმნის კოლიზიას.

თუმცა, რადგან საერთო-სახალხო არჩევნებია, მაშინ ის პარტია, რომლის წარმომადგენელიც გაიმარჯვებს, იყვირებს, აგერ, ჩემი ბატონო, რეფერენდუმი ჩატარდა, დამტკიცდა, რომ ლეგიტიმაცია ჩვენ მხარეს არის. შესაბამისად, თუ არ გაიმარჯვა „ოცნების“ ადმინისტრაციულმა და ფინანსურმა რესურსმა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ გახადეს, მაშინ სხვა შემთხვევაში გამარჯვებული პარტია იყვირებს, რომ არსებული პარლამენტი არალეგიტიმურია, ხალხი ხმას ჩვენ გვაძლევსო და რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს. ამაზეა ყველაფერი აგებული და ამის გამოა ეს ვიწროპარტიული ციებცხელება, თორემ მოსახლეობას ეს არჩევნები საერთოდ არ აინტერესებს.

– საქმე ისე მიჰყავთ, რომ ან ნაცმოძრაობამ უნდა გაიმარჯვოს, ან – ოცნებამ, სხვა კანდიდატების ადგილი აღარ რჩება. ამ ვითარებაში, როცა ამომრჩეველი სასწორზე დადებს ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ შეცდომებსა და დანაშაულებს, იქ შეიძლება „ოცნებისკენ“ გადაიხაროს.

– ასეა, მაგრამ, ისიც ვთქვათ, სხვა კანდიდატებში არავინ მეგულება, ვინც ხალხში თავისი პირადი პოპულარობით სარგებლობდეს. რაც შეეხება ნაცებსა და ქოცებს, გასაგებია ვითარება. ნაცების საპრეზიდენტო კანდიდატი ვაშაძე არის სააკაშვილის პირადი რჩეული. არც პარტიებს უნდოდათ ვაშაძე, არც პიროვნებებს, სააკაშვილმა მოინდომა. ამიტომ იბარებდა ამსტერდამში ნაცებსა და სხვა პატარა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც თვითონ შექმნა.

– სააკაშვილს ვინ მოსთხოვა, ვაშაძე უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატიო?

– სააკაშვილს თავად სურდა ეს. ეს ცნობილია. ვაშაძე რუსეთის მოქალაქეა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო და, შესაბამისად, სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას ახლობელია. მოგეხსენებათ, თემურ ალასანიას სააკაშვილზე დიდი გავლენა აქვს. გარდა ამისა, სააკაშვილს თბილი ურთიერთობა შეექმნა ვაშაძისა და ანანიაშვილის ოჯახთან იმდენად, რომ ვაშაძე მინისტრი რომ გახდა, ყველა ეძახდა ვაშაძე-ანანიაშვილისას. როგორც ვიცი, სააკაშვილმა მათი ბავშვიც მონათლა.

– მხარდაჭერა როგორი იქნება?

– სააკაშვილს დარჩა თავისი 12-13% მხარდამჭერებისა. ოღონდ ეს არის მოტივირებული, მობილიზებული და ორგანიზებული ელექტორატი. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც არჩევნებზე უკლებლივ მიდიან. ამიტომაც იყო, რომ 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე ზუსტად გამოვიცანი და უცხოელ ჟურნალისტებს ვეუბნებოდი, რომ ნაცმოძრაობა და მისი განაყოფი ერთად 26%-ს მიიღებდა.

– ახლაც იგივე განმეორდება თუ ჩანაწერების ომი გავლენას იქონიებს?

– გარკვეულ გავლენას იქონიებს, მაგრამ მე ხალხთან მაქვს კონტაქტი, მაინტერესებს მოსახლეობისა და სხვადასხვა ფენის აზრი. ძირითადად ეს ყველას მიმართ ზიზღს იწვევს. მოსმენის თავიც არავის აქვს. იმდენად უხარისხო ჩანაწერია, მოსმენას თავი დავანებე.

ბიძინა გუჯაბიძე: „ვადამდელი არჩევნები საზოგადოების მოთხოვნა არ არის“

„ოპოზიციამ რესურსები იშოვა და გააქტიურდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ არაორდინარულ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ბიძინა გუჯაბიძეს**.

– თუ ადრე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ განცხადებები კანტი-კუნტად ისმოდა, დღეს, პოლიტიკოსების გარდა, ამაზე პოლიტოლოგებიც ალაპარაკდნენ.

– ვინც ვადამდელი არჩევნების საკითხს აყენებს, იმას თავისი მიზნები აქვს. პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი ამოძრავებთ. ეს პოლიტოლოგები არ არიან ობიექტურები. ბევრი პოლიტოლოგი მიკერძოებულია. ბოლო დროს ოპოზიციამ რესურსები იშოვა და გააქტიურდა. 2020 წელი მალე მოვა და იმ არჩევნებში ყველას შეუძლია საკუთარი ძალების მოსინჯვა. თუ მანამდე „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზული შეცდომები არ დაუშვა, ორი წლის შემდეგაც ის იქნება წარმმართველი ძალა ქვეყანაში. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის საფუძველს ვერ ვხედავ. ვადამდელი არჩევნები საზოგადოების მოთხოვნა არ არის.

– აღნიშნეთ, რომ ოპოზიციამ რესურსები იშოვა. ფინანსები გაქვთ მხედველობაში?

– დეტალებს ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგს რუსეთიდან შემოუვიდა ფული, ზოგი აქაური ბიზნესმენებისგან ფინანსდება. არიან მეწარმეები, რომლებიც პარტიებში არიან გაერთიანებული. მოხდა თანხების მობილიზება და მუშაობის დაწყება გარკვეული გეგმების შესრულებაზე.

– ხელისუფლების მიერ მომავალში შეცდომების შესაძლო დაშვება ახსენეთ. ახლა არ უშვებს „ქართული ოცნება“ შეცდომებს?

– უშეცდომო ხელისუფლება არ არსებობს. სერიოზული გადაცდომა ამ ხელისუფლებას არ ჰქონია. ბოლოდროინდელ ხარვეზად მიმაჩნია ის, რომ ხელისუფლება ხალხს არ აძლევს მკაფიო განმარტებებს იმაზე, თუ რა ხდება.

– ხელისუფლება ოპოზიციას უპასუხოდ არ ტოვებს და თავის წილ ჩანაწერებს აფრიალებს.

– საზოგადოებას უნდა აუხსნან, რომ აჟიოტაჟს ქვეყანაში ქმნის ნაციონალური მოძრაობა თავის სატელიტებთან ერთად. ნაცმოძრაობა ემზადება პრეზიდენტის პოსტის ხელში ჩასაგდებად. საპრეზიდენტო ბერკეტი ნაციონალებს შემდგომი ნაბიჯებისთვის სჭირდებათ. მათ დაგეგმილი აქვთ ისეთი დამნაშავეების შეწყალება, როგორებიც არიან მერაბიშვილი და ახალაია და, რა თქმა უნდა, სააკაშვილი. მისთვის გადაწყვეტილია საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებაც.

ახლანდელმა პრეზიდენტმაც გაგვაწვალა ვეტოებით. ნაცმოძრაობას უნდა, თავისი კანდიდატის გამარჯვებით მიაღწიოს იმას, რომ პრეზიდენტი გახდეს ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი.

– პრეზიდენტს ამხელა უფლებები დარჩა?

– შეწყალების უფლების გამოყენებითა და ვეტოების დადებით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ იქნება ქვეყნის განვითარების შეფერხების მცდელობა. გათვლა აქვთ იმაზეც, რომ პრეზიდენტი ივლის საზღვარგარეთ და იმუშავებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ. სააკაშვილიც გვჭრიდა თავს უცხოეთში. ნაციონალებს უნდათ, ეს გზა გააგრძელონ. ეს მხოლოდ მათი ილუზიებია. ისინი საპრეზიდენტო ბერკეტს ხელში ვერ ჩაიგდებენ.

– ჩანაწერების ეპიპეაზე რას იტყვით? ამის შედეგად ხელისუფლების მდგომარეობა არ შეირყა?

– ხელისუფლება მყარად დგას. ნაცმოძრაობასა და მის სატელიტებს ყველა მეთოდის გამოყენებით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. ამისთვის ისინი იყენებენ დემაგოგიას, ოქუაშვილისა და სუბელიანის საშუალებით არწმუნებენ საზოგადოებას, თითქოს „ქართული ოცნება“ დამთავრდა.

– ხალხს ხშირად ხვდებით და გეცოდინებათ, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა ამ ჩანაწერებამდეც საგრძნობლად დაეცა.

– უნდობლობა შეინიშნება. მდგომარეობა კატასტროფული არ არის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. ლარის დევალვაციამ ბევრს დაარტყა. საუბედუროდ, ისეთ რეგიონში ვართ, რომ მეზობლების ეკონომიკური პრობლემები ჩვენზე აისახება.

რუსეთსა და თურქეთში ისეთი პროცესები ვითარდება, რომ საბოლოოდ ლარზე ირეკლება და ჩვენ გვაზარალებს. უკმაყოფილება ხალხის ნაწილში გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობას ძალიან დიდი მოლოდინი ჰქონდა. ამას დაემატა კრიზისი რეგიონში, რამაც გამოიწვია გულგატეხილობა. არიან ადამიანები, რომლებსაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსახვრალი ხელი არ შეხებიათ და რომელთათვისაც „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია“. ასეთი კატეგორია ადრევე ადვილად მოექცა ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდაში.

– ნაცმოძრაობას თავისი ერთგული ამომრჩეველიც ჰყავს.

– რასაკვირველია. იყვნენ და არიან ისეთი ტვინგამორეცხილები, რომლებიც სააკაშვილის დანაშაულებზე ტაშს უკრავდნენ და ახლაც სააკაშვილის დაბრუნებას ელოდებიან. მათთვის მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულები არაფერია. ასეთები გავლენას ახდენენ რომელიმე ბებოზე სოფელში, რომელიც სერიალების გარდა არაფერს უყურებს და კითხულობს.

ნაცმოძრაობის მომხრე დაახლოებით 400.000-მდე კაცია. წინა არჩევნებზე ნაციონალებმა მოტყუებითაც მიიყვანეს ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე. სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ყველაფრით კმაყოფილი არც ერთი ქვეყნის მოსახლეობა არ არის. ჩვენთან ასეთები ახლაც არიან და მომავალშიც იქნებიან.

– ხალხი გამძვინვარდა საქართველოში კანაფის შესაძლო კულტივაციის გამო. ამასთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტში ისევ დევს.

– საზოგადოება ამან მართლაც ააღელვა. პირველად რომ ამის შესახებ შევიტყვე, უპირობოდ და კატეგორიულად ამ კანონპროექტის წინააღმდეგი ვიყავი. მოგვიანებით ბევრ სამეცნიერო ლიტერატურას გავეცანი. ახლა ასეთი პოზიცია მაქვს – ამას არ შევეწინააღმდეგები, თუ დაცული იქნება გარკვეული პირობები.

– რომელი პირობები?

– თუ ეს იქნება ტექნიკური კანაფი, რომელშიც ნარკოტიკი მინიმალური რაოდენობითაა. ასეთი მცენარისგან ამზადებენ თოკებს. ასევე, აუცილებელია კონტროლისა და უსაფრთხოების ზომების გათვალისწინება და შესრულება. ეს საქმიანობა არ უნდა იყოს კერძო ლიცენზირებული კომპანიების ხელში. ეს არის პირობები.

ასევე შესასწავლია, რა ჩაიწერება კანონპროექტში. თუ კანონში ხარვეზი გაიპარა, მისი მომხრე ვერ ვიქნები. ამ გადაწყვეტილების დროს უნდა დავეყრდნოთ უცხოელი სპეციალისტების დასკვნებსა და ნაშრომებს. ესაა ამოსავალი და არა ვინმეს სურვილი. არ მივემხრობი ნარკოტიკის მეტი დოზის შემცველი კანაფის კულტივაციას.

„ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მეტად ივანიშვილს აწყობს“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციამ შეცდომით ჩათვალა, რომ ბიძინასთან ბრძოლა მარტივია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, თქვენთვის ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები იმ პრობლემების გამოვლინებაა, რომლებიც რეალურადაა ქვეყანაში თუ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია?

– თუ პრობლემა ამოტივტივდა, ეს ნიშნავს, რომ პრობლემა არის და ის მოსაგვარებელია. არჩევნებმა ამ პრობლემების ინსპირირება მოახდინა. აქ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ პრობლემა არის, სამწუხაროდ, ბევრად მნიშვნელოვანია, რომ მისი მომგვარებელი არ არსებობს.

ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკოსებისადმი ნდობაა დაკარგული. როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია დისკრედიტებულია. ეს გაცილებით სერიოზული პრობლემაა. ამიტომ არის ასეთი დაბნეულობა.

შესაბამისად, ვთვლი, რომ მთელი ამ სერიების ინსპირატორი წინასაარჩევნო კამპანიაა. ამიტომაც არის, რომ თემები ამოდის და მერე უკვალოდ ქრება. მაგალითად, „ომეგა ჯგუფის“ სკანდალი ისე მიყუჩდა, რომ სუბელიანის ფონზე არავის ახსოვს. არადა, ხომ ვიცით, რომ პრობლემა არ მოგვარებულა.

– ქვეყანა ქაოსის გზით რომ არ წავიდეს, რა შეიძლება იყოს გამოსავალი? შეუძლია ხელისუფლებას ამ პრობლემების მოგვარება თუ მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა?

– ამ ხელისუფლებამ საკუთარი თავი ამოწურა თუ არ ამოწურა, ფაქტი ერთია – ალტერნატივები ამოწურულია. დღეს ეს პრობლემა აქვს ამომრჩეველს. ოპოზიცია რომ გაიძახის, ხელისუფლებამ უკვე ამოწურა საკუთარი თავიო, ამაში, პირველ რიგში, სწორედ ოპოზიციამ შეიტანა ლომის წილი თავისი სისუსტით, თავისის უძლურებით. ასეთი სუსტი რომ არ ყოფილიყო ოპოზიცია და ის რომ იყოს რეალური ალტერნატივა, მაშინ ხელისუფლება ასეთ სისულელეებს არ ჩაიდენდა.

მხოლოდ სისულელეები რომ იყოს, კიდევ არა უშავს. ყველაფერი გააკეთა, ერთი მხრივ, ოპოზიციამ და, მეორე მხრივ, ხელისუფლებამ, რომ რეალური ალტერნატივა ამოწურულიყო. ამჯერად ამას ვამბობ არა ოპოზიციის, არამედ საზოგადოების გასაგონად.

ეს უკვე ნიშნავს, რომ დანიის სამეფოში მთლად დალაგებულად არ არის საქმე.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე დამაფიქრებლად მეჩვენება ამ ჩანაწერების მოძრაობა ციხიდან ტელევიზიისკენ და კიდევ უარესი, პროკურატურიდან ტელევიზიისკენ. ეს ხომ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ გვაქვს! ამიტომ იმის გარჩევა, თუ ვინ არის მტყუანი და ვინ – მართალი, უკვე აზრს კარგავს. სახელმწიფოს განცდას კარგავენ ადამიანები. ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია. თუ ასეთი განცდით იცხოვრებენ ადამიანები, რომ ისინი ცხოვრობენ არა სახელმწიფოში, არამედ სხვა რაღაცაში, მაშინ უკვე ეს შეიძლება გადაულახავ პრობლემად იქცეს ან კიდევ რამდენიმე ათეული წელი დაგვჭირდეს.

– ბიძინა ივანიშვილი ჩუმად არის. თითქოს მას არ აღელვებს ეს ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ღიად არ საუბრობს. ეს თქვენთვის რა მესიჯია?

– მე ვფიქრობ, რომ პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. ის აკვირდება მოვლენებს და ფიქრობს, რომ ჯერ არ დამდგარა მისი გამოსვლის დრო.

ძალიან ბევრს გაუჩნდა განცდა, რომ სუბელიანის მეორე ჩანაწერი დადგმული იყო და რა გარანტიაა, რომ პირველი ჩანაწერიც არ იყო დადგმული?! თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლებამ ოპოზიცია წამოიკიდა ამ თამაშში და ოპოზიცია ხელისუფლების დაკრულზე თამაშობს. სავარაუდოა, რომ ივანიშვილი ეცდება, ამ პროცესს ჯერ ხელი არ შეუშალოს.

– არსებობს მოსაზრება, რომ ახლა მიმდინარე პროცესები ივანიშვილს ხელს აძლევს, ვინაიდან ის არ არის თავისი გუნდით კმაყოფილი და რომ ამ გუნდის ლუსტრაციას ახდენს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– დიახ, მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ივანიშვილი თავისი გუნდით უკმაყოფილო რომ არის, მე ამით ვხსნი იმას, რომ, ფაქტობრივად, მან საკუთარ გუნდს უარი უთხრა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. ის არ დათანხმდა იმას, რომ საკუთარი გუნდის წევრი გამხდარიყო პრეზიდენტი.

აქ მიზეზი ბევრია, მაგრამ ერთ-ერთი წამყვანი სწორედ ეს არის, რომ ის არ ენდობა ამ გუნდს. ეს აშკარად გამოჩნდა ამ გადაწყვეტილებით. სალომე ზურაბიშვილი არც „ქართული ოცნების“ წევრია და არც ნაციონალურ მოძრაობასთან არის კოჰაბიტაციაზე წამსვლელი, რაც მისი გუნდის წევრებისგან არ გამოირიცხება. მთელ ამ პროცესში ჩანს ივანიშვილის დამოკიდებულება მისი გუნდის, ანუ „ქართული ოცნების“ წევრებისადმი.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილს ეს პროცესი მიშვებული ჰყავს – აბა, საბოლოო ჯამში, ვინ რას დაიმსახურებს?!

თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს პროცესი ჯერ არ არის დასრულებული და ბადრი პატარკაციშვილის ამბავს კიდევ სხვა ამბავი მიებას, ანუ კიდევ ახალი თემა გაჩნდეს.

ოპოზიციამ ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანა, როდესაც ჩათვალა, რომ ივანიშვილთან ბრძოლა ასეთი მარტივია. არადა, მარტივი მოთამაშე ივანიშვილი არასდროს ყოფილა.

ივანიშვილი ახლა ოპოზიციას, ყველას ერთად, ჭადრაკის რთულ პარტიას ეთამაშება, ოპოზიცია კი თვლის, რომ დომინოს ეთამაშება. ივანიშვილი პოლიტიკაში ყოველთვის ღრმად ჩაფიქრებული სვლებით მოქმედებდა. ამიტომ მე ამ პროცესს ასე მარტივად, ზედაპირულად არ ვუყურებ.

ოპოზიციამ ივანიშვილი ჯეროვნად ვერ შეაფასა. მათ ძალიან მარტივი პროცესი შესთავაზეს, რომელიც ადვილად იკითხება. პოლიტიკაში უჭკუობა ძალიან მკაცრად ისჯება.

– მაგალითად, რას გულისხმობთ?

– თუნდაც სარალიძის საკითხს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა შეეცადა, გვერდით დასდგომოდა და სახელმწიფოსგან დაჩაგრულ კაცს როგორმე სამართალი ეპოვა. ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა სარწმუნო, თუ ნაციონალური მოძრაობა თავად არ იქნებოდა უსამართლობის შემოქმედი. ეს ძალიან მარტივად წაიკითხა მოსახლეობამ. მიკვირს, რატომ დგამენ ასეთ გაუთვლელ და მარტივ ნაბიჯებს.

– თუ ამ ვერსიას გავყვებით, რომ ივანიშვილი ჭადრაკს თამაშობს და არა დომინოს, მაშინ საბოლოო მიზანი რა შეიძლება იყოს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– ესეც ანეკდოტია. ეს იდეა ვაშაძემ წამოაყენა.

– ეს იდეა პირველად ჯერ კიდევ „ქართულ ოცნებაში“ მყოფმა დავით ჭიჭინაძემ წამოაყენა. ალბათ ოპოზიციას მაშინ არც ესიზმრებოდა ეს.

– დიახ, გეთანხმებით, მაგრამ ახლა ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გაიძახის. არადა, დღეს თუ ვინმეს აწყობს ვადამდელი არჩევნები, ეს „ქართული ოცნებაა“. არც ერთი ოპოზიციური პარტია ახლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად არ არის, ვერ მოიგებს. არც ერთ პარტიას არ აქვს ის რეიტინგი, რომ ვადამდელი არჩევნები მოიგოს.

დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მეტად ივანიშვილს აწყობს. პირველი – ის გათავისუფლდება იმ ჯგუფისგან, რომელიც მას უკვე ტვირთად აწევს. მეორე – ხალხისგან ხელახალ ლეგიტიმაციას მიიღებს და ამით კიდევ ერთ წელიწადს მოიგებს.

კობა გვენეტაძე: „როცა დაასახელებთ, რომ რომელიმე პროდუქტი გაძვირდა, არ დაგავიწყდეთ, რომ არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომლებიც გაიაფდა“

– როდესაც დაასახელებთ, რომ რომელიმე პროდუქტი გაძვირდა, არ დაგავიწყდეთ, რომ ამავე დროს არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომლებიც გაიაფდა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, საქართველოში ინფლაცია არ არის მაღალი და ეროვნულ ბანკს ყველა ბერკეტი გააჩნია ეს აკონტროლოს.

– როდესაც დაასახელებთ, რომ რომელიმე პროდუქტი გაძვირდა, არ დაგავიწყდეთ, რომ ამავე დროს არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომელიც გაიაფდა. აქედან გამომდინარე, ფასების დონე არის ინდექსი, რომელიც გამოითვლება კალათით. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი, რომ ერთი ან ორი პროდუქტის ფასის ცვლილების მაგალითზე ხდება დასკვნა, რომ ინფლაცია გაიზარდა. საქართველოში ინფლაცია არ არის მაღალი და ეროვნულ ბანკს ყველა ბერკეტი გააჩნია ეს აკონტროლოს, – განაცხადა გვენეტაძემ.

ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, 2017 წლის ბოლოსთან შედარებით სავაჭრო პარტნიორებთან ლარის კურსი გამყარებულია 9%-ით. მისი თქმით, როგორც წესი ექსპერტები და ჟურნალისტები ასახელებენ გაცვლით კურსს დოლართან მიმართებაში, რაც არასწორია.

– რაც შეეხება საკითხს კურსთან დაკავშირებით, როგორ წესი, როდესაც კურსთან დაკავშირებით არის განხილვა, ხდება დასახელება ციფრების თეთრებში. ეს არ არის ნორმალური პრაქტიკა. ყოველთვის ცვლილება გაცვლითი კურსის უნდა დასახელდეს პროცენტებით. შემიძლია დავასახელო მაგალითად ასეთი სტატისტიკური ინფორმაცია: 2017 წლის ბოლოსთან შედარებით ეროვნული ვალუტა გაუფასურებულია 3.5%-ით. გარდა ამისა, როგორც წესი ექსპერტები და ჟურნალისტები ასახელებენ გაცვლით კურსს დოლართან მიმართებაში, რაც ასევე არასწორია. თუ ჩვენ გვინდა სიტუაცია ნამდვილად ეკონომიკურად დავინახოთ, აუცილებლად მინიშნება უნდა გავაკეთოთ ლარის ეფექტურ გაცვლით კურსზე, ანუ ეფექტური გაცვლითი კურსი არის სავალუტო კურსი, რომელიც არის შეწონილი ჩვენს სავაჭრო პარტნიორებთან. ეს არის ის კურსი, რომელსაც გავლენა აქვს ზოგადად ეკონომიკაზე. 2017 წლის ბოლოსთან შედარებით ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი არის გამყარებული 9%-ით. გარდა ამისა, როდესაც ვსაუბრობთ გაცვლით კურსზე, ყველაზე დიდი თავდაცვა არის სესხები ავიღოთ ლარში, – განაცხადა გვენეტაძემ.

თამაშგარე დარჩენილი ქართული კომპანიები და უცხოელებზე მინდობილი მთავარი საავტომობილო მაგისტრალები

თამაშგარე დარჩენილი ქართული კომპანიები და უცხოელებზე მინდობილი მთავარი საავტომობილო მაგისტრალები.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქუთაისის შემოვლითი გზის ახალი 41.3 კმ სიგრძის ორზოლიანი გზის მშენებლობას იწყებს. ახალი გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 მილიონი ლარია, ხოლო მშენებლობა 2020 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

ქართულ კომპანიებს სატენდერო პირობებთან დაკავშირებით შენიშვნები აქვთ. მათი განმარტებით ბაზარზე არსებულ არცერთ ადგილობრივ კომპანიას სამინისტროს მიერ მოთხოვნილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება არ შეუძლია.

ინფრასტრუქტურის სამშენებლო კომპანიების პრეტენზიების მიზეზი სატენდერო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გამოცდილება, ფინანსური შესაძლებლობები და ბრუნვა ის კრიტერიუმებია რისი დაკმაყოფილებაც მათი განცხადებით შეუძლებელია.

კერძო სექტორის წარმომადგენლების განცხადებით, მოთხოვნილი ფინანსური ბრუნვა და გამოცდილება ქართულ კომპანიებს არ გააჩნიათ, ვინაიდან მსგავსი მასშტაბური პროექტების განხორციელება ბოლო წლებში დაიწყო და შესაბამისად მათ ტენდერში მოთხოვნილი გამოცდილება ვერც ექნებოდათ დაგროვილი. კომპანიების მოთხოვნაა, რომ ჰქონდეთ ამხანაგობების ფორმატში ტენდერებში მონაწილეობის საშუალება, მათი გარკვეული ნაწილი კი რეზიდენტი კომპანიებისთვის გარკვეული შეღავათების მიცემასაც ითხოვს.

– გრძელვადიან პერსპექტივაში რომ შევხედოთ პროცესებს, ქართული კომპანიები ხუთი წლის შემდეგაც ვერ დააგროვებენ ტენდერში მოთხოვნილ გამოცდილებას და თუ მათ დღეს არ მიეცათ მსგავს მასშტაბურ ტენდერებში შესვლის საშუალება, მუდმივად იდგება აღნიშნული პრობლემა. საჭიროა ნაბიჯების გადადგმა ცვლილებების მიზნით, მათ შორის დაშვებებისა თუ გამოცდილების კუთხით. მნიშვნელოვანია გარკვეული დათმობები რეზიდენტი კომპანიებისთვის, რათა სამომავლოდ, დაახლოებით 5 წელიწადში, აღარ გვქონდეს იმის მიზეზი, რომ გარკვეულ შეღავათებზე, ბენეფიტებზე თუ სხვა პრობლემებზე ვისაუბროთ ქართული კომპანიების მხრიდან, – აცხადებს ანა საბახტარაშვილი, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის დირექტორი.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ რომ სატენდერო მოთხოვნას ვერ გაამარტივებენ, რადგან არსებული პირობები და მოთხოვნები საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით ისედაც გამარტივებულია. როგორც სამინისტროში განმარტავენ, სამინისტრო ყველანაირად შეეცადა ქართული კომპანიებისთვის მიეცა შანსი ტენდერებში მონაწილეობისთვის და თუკი არსებული პირობებიც კომპანიებისთვის მკაცრია, სამინისტრო მათ ამხანაგობების ფორმატში გაერთიანებას ეთანხმება, თუმცა ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ ამ ფორმატში მუშაობა კანონმდებლობით შეზღუდულია და მას საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება.

– ქართული კანონმდებლობით, რომლის ფორმატშიც ტარდება ეს ტენდერი ამხანაგობის ფარგლებში გამოცდილების გაერთიანება არის დაუშვებელი. ამ პრობლემაზეც ვისაუბრეთ და დავაყენეთ აღნიშნული საკითხი. როგორც მინისტრის პირველმა მოადგილემ ბრძანა, დაწყებულია გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაც, რაც ნამდვილად მისასალმებელია, ვინაიდან კანონმდებლობის დახვეწა მთელ რიგ შემთხვევებში მისცემს საშუალებას, თუნდაც ორ რეზიდენტ კომპანიას, რომ დაჯამონ საკუთარი გამოცდილება და ერთობლივი ძალებით შეუდგნენ პროექტის განხორციელებას, – აცხადებს ანა საბახტარაშვილი, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის დირექტორი.

საბოლოო ჯამში, გაუგებარია, რატომ არ ცდილობს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დროულად დახვეწოს არსებული საკანონმდებლო ბაზა და, ამავდროულად, ქართულ კომპანიებს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათაც შეძლონ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის მიღება. მით უფრო, თუ გავიხსენებთ ბოლო წლებში არსებულ არც თუ ისე სახარბიელო გამოცდილებას, როდესაც ჩინური თუ სხვა საერთაშორისო კომპანიები საკმაო ხარვეზებითა და მუდმივი დაგვიანებებით ახორციელებდნენ ამა თუ იმ მსხვილ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტს.

მაგალითისთვის საკმარისია სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნული მაგისტრალიც, რომლის მშენებლობასაც საკმაო დარღვევებითა და ხარვეზებით ახორციელებდნენ ჩინური კომპანიები „სინოჰიდრო“ და „რკინიგზა 23“, ამავდროულად, უკრაინული კომპანია „ალტკომის“ მიერ მიტოვებული 1 ლოტი და დღემდე ქვეყნიდან გამქრალი 45 მილიონი, რომლის დაბრუნებაც ვერ ხერხდება.

მოკლედ, საერთაშორისო კომპანიების მიერ მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისას არაერთი ხარვეზი გამოვლინდა ბოლო წლებში, არსებულ პრობლემებზე მუდმივად აქვეყნებდა ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბა“, შესაბამისად ხელისუფლება თუ უფრო მეტად იზრუნებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურული კომპანიების ხელშეწყობაზე, ეს ქვეყნისთვისაც და ბიზნესის განვითარებისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება.

BFM.GE

ლაშა პაპაშვილი: „ზოგჯერ მოსამართლე ილებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომ მდიდარი რადგან ხარ, საქმე უნდა წააგო“

ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი დღეს სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით განსხვავებულ აქცენტებს სვამს. მისი თქმით, გარდა ძირითადი სირთულეებისა, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება მიდგომებშია.

– ის პრობლემები, რაზეც ხშირად ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას სასამართლოს ირგვლივ, გასაგებია რომ მოსაგვარებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, არანაკლებ დიდი პრობლემაა დღეს მდიდრები. ზოგიერთი მემარცხენე იდეოლოგიით დახუნძლული პოლიტიკოსი უბიძგებს ყველას, რომ მდიდარი არის ცუდი, რაც არასწორია. მერე ეს განწყობა გადადის მოსამართლეზეც და ხშირად ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, ხოლმე რადგან შენ გაქვს ბევრი ფული, ესე იგი, უნდა უნდა წააგო, – განმარტავს ლაშა პაპაშვილი.

რაც შეეხება სხვა პრობლემებს, ლაშა პაპაშვილი იზიარებს ბიზნესის წარმომადგენლებისა და ადვოკატების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გაჭიანურებული პროცესები ხელს უშლის კერძო სექტორის განვითარებას. უმრავლესობას არ ეთანხმება იმ ნაწილში, როდესაც საუბარი მოსამართლეთა კომპეტენციაზეა.

– მაგალითად, 2 წლის წინ ბიზნესასოციაციის სახელით ჩვენ შევხვდით უზენაეს მოსამართლეს და კიდევ რამდენიმეს. მე დარწმუნებული ვარ მათ კომპეტენციაში და კვალიფიკაციაში. შესაძლოა, ქვედა რგოლებმა არ იციან, რა არის, ვთქვათ, ბიზნესდავა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ ეხება თავად მოსამართლეებს. გაწელილი პროცესები კი, დიახ, ნამდვილად პრობლემაა და ეს მოსაგვარებელია. ზოგადად ბევრი რამ მოსაწესრიგებელი სასამართლოში. აი, ეკონომიკის მინისტრი მაკენზეში მუშაობდა. კარგი იქნება, თუ მაკენზედან ჩამოიყვანენ ექსპერტებს და სისტემაში რეფორმებს გაატარებენ, – განმარტავს პაპაშვილი.

გარდა უცხოელი ექსპერტებისა, სასამართლო სისტემის გამართულობის თვალსაზრისით, პაპაშვილი გამოსავალს უწყების დაფინანსებაში ხედავს. როგორც ბიზნესმენი აღნიშნავს, სასამართლოს ბიუჯეტი სახელმწიფომ ათჯერ უნდა გაუზარდოს და მოტივაციაც გაიზრდება.

– უმთავრესი, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს, ათჯერ უნდა გაუზარდოს სასამართლოს ბიუჯეტი 2019-ში. დაუფინანსოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლება მოსამართლეებსა და თანაშემწეებს მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში. სხვანაირად არ მოხდება მოტივაციის ამაღლება, – აღნიშნავს პაპაშვილი.

2018 სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო 71.1 მლნ. ლარით დაფინანსდა; უზენაესი სასამართლო – 8.4 მლნ. ლარით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსებამ 4.15 მლნ ლარი შეადგინა.

2019 წლის ბიუჯეტიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის განისაზღვრა – 4.150 მლნ. ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის – 9.000 მლნ ლარი; ხოლო საერთო სასამართლოებისთვის – 73.000 მლნ ლარი.

სავალუტო კურსის „აჯანყება“ — რატომ არის სავალუტო ჯიხურებში დოლარის კურსი უფრო ნაკლები, ვიდრე Bloomberg-ის სისტემაში?

რატომ ხდება ისე, რომ სავალუტო ჯიხურებში აშშ დოლარის კურსი უფრო ნაკლებია, დაახლოებით 34-41 პუნქტით, ვიდრე Bloomberg-ის სისტემაში დაფიქსირებული კურსი? – ამის შესახებ „ბანკები და ფინანსები“ წერს. იხილეთ ეკონომისტის, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ყოფილი პრეზიდენტის ვახტანგ ხომიზურაშვილის პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზე.

– აქ შეიძლება ლოგიკური იყოს აშშ დოლარზე მოთხოვნის შემცირება, რაც ცოტა ძნელად წარმოსადგენია.

ამგვარი „ასიმეტრია“ ოფიციალურ და საბაზრო კურსებს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ერთი ფაქტორით – როდესაც ოფიციალური სავალუტო კურსი არ ასახავს სავალუტო ბაზარზე შექმნილ ვითარებას (და რეალურ მდგომარეობას), ანუ არაადეკვატურია ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის მიმართ.

თეორიულად (და პრაქტიკულადაც) ეს შესაძლებელია, Bloomberg-ის სისტემაში კურსის ფორმირების პრინციპებიდან გამომდინარე. კონკრეტულად კი, Bloomberg-ის სისტემაში ოფიციალური კურსის ცვლილება შესაძლებელია შედარებით პატარა თანხებით და ეს უკვე ქმნის კურსის მანიპულირების შესაძლებლობას.

წესით და რიგით, ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსი უნდა ასახავდეს ეკონომიკურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას, ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით.

ამიტომაც იყო, რომ სავალუტო ფონდის ტექნიკური მისიის მიერ ეროვნულ ბანკს და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას მიეცა მკაფიო რეკომენდაციები, რომლების პირდაპირ ეხებოდა სავალუტო კურსის ფორმირების პრინციპებს და წესებს.

კერძოდ კი რეკომენდაციები გულისხმობდა – ოფიციალური სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სავალუტო სავაჭრო სესიის, ვაჭრობის მინიმალური მოცულობის 5 მილიონი აშშ დოლარის შემთხვევაში – და ეს იყო 1998 წელს!

შემდგომში ეს მინიმალური ვაჭრობის მოცულობის ნორმა გაიზარდა – 10 მილიონ აშშ დოლარამდე – 2000 წელს და 20 მილიონ აშშ დოლარამდე – 2004 წელს!

დღეს კი შესაძლებელია Bloomberg-ის სისტემაში „აბურთაო“ სავალუტო კურსი შედარებით პატარა მოცულობის თანხებით (1 მილიონი დოლარით) და ეს რეალობაა!

ამასთან ერთად, არ მოწმდება ბანკებს შორის დადებული გარიგებების შესრულება, რაც კიდევ დამატებით იძლევა სავალუტო კურსით მანიპულირების შესაძლებლობას!

ეროვნულ ბანკს (და არც კომერციულ ბანკებს) „ცოცხალი თავით“ არ უნდა სამართლიანი და გამჭვირვალე საბირჟო პრინციპებზე აგებული სავაჭრო სისტემის დანერგვა და ალბათ ამის სერიოზული მიზეზიც არსებობს.

ალბათ დასაფიქრებელია – ხომ არ ვსხედვართ „საბანკო – Bloomberg-ის“ ნაღმზე?“ – ვახტანგ ხომიზურაშვილი, ეკონომისტი, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ყოფილი პრეზიდენტი.

bfm.ge

გამტაცებლები ბიზნესმენ ამირან დეკანოიძეს შვილის დასაბრუნებლად დიდ ფულს სთხოვდნენ

ნიუპოსტის ცნობით, დაახლოებით ერთი კვირის წინ ჭავჭავაძის გამზირიდან 25 წლის გიორგი დეკანოიძე შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს. ვინაიდან გატაცებული ბიზნესმენ ამირან დეკანოიძის შვილი იყო, ბოროტმოქმედები გამოსასყიდის სახით დიდ თანხას ითხოვდნენ.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სპეცოპერაცია თბილისში ჩატარდა და სამალავიც აღმოაჩინეს, თუმცა, ბოლო ინფორმაციით, დაჯგუფების აყვანის ოპერაცია სოფელ კვახჭირში ჩატარდა.

გიორგი დეკანოიძე სამართალდამცავებმა უკვე გამოკითხეს.

ცნობილია, რომ ბიზნესმენი ამირან დეკანოიძე სასტუმროს, რესტორნებსა და ბენზინგასამართ სადგურს ფლობს.

გუშინ საღამოს შსს-მ აღნიშნულ საკითხზე ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„თბილისის პოლიციისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთად იმერეთსა და თბილისში ერთდროულად ჩატარებული რამდენიმე სპეცოპერაციის შედეგად, მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით, 10-კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფი დაიკავეს.

ჩადენილი დანაშაული 9-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 1995 წელს დაბადებულ ახალგაზრდას თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა გატაცებულის მამამ და აცნობა, რომ გამტაცებლები მას მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდნენ, შვილის გამოსასყიდად დიდი ოდენობით თანხა მოსთხოვეს, ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში კი მძევლის სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

სამართალდამცველებმა, ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გატაცებულის ადგილსამყოფელი დაადგინეს. გამოძიების ინფორმაციით, გ.დ. შეიარაღებულ გამტაცებლებს იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ჰყავდათ გადამალული.

პოლიციამ გატაცებული ახალგაზრდა წარმატებული სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლა. სამართალდამცველებმა სახლიდან, სადაც გამტაცებლებს მძევალი ჰყავდათ გადამალული, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი.

პოლიციამ გ.დ. ოჯახში უვნებლად დააბრუნა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიების ფარგლებში დაინიშნება ყველა შესაბამისი ექსპერტიზა“.

„მალხაზ კობაურს 4 წლის ბავშვის გვამის პოვნა გამოძიებელმა დაავალა“

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული მალხაზ კობაურის ადვოკატი მორიგ სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ მალხაზ კობაურს 4 წლის ბავშვის გვამის პოვნა თავად გამომძიებელმა დაავალა.

– კითხვაზე: თუ როგორ იპოვა ბრალდებულმა მცირეწლოვანი ბავშვის გვამი გამოძიების ეტაპზე, გიპასუხებთ, რომ თავად გამომძიებელმა დაავალა, რომ მოეძებნა იმ ტერიტორიაზე, სადაც კობაურმა მიუთითა, რომ განხორციელდა დანაშაული. შესაბამისად მან მოიძია გვამები, – განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან, ალექსანდრე კობაიძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ გამოძიება მწყემსს ლორა სმიტის გაუპატიურებას არ ედავება.

– ჩვენ გამოძიება არ გვედავება ქალის გაუპატიურებას, ჩვენ გვედავებიან ბავშვის და კაცის მკვლელობას



გაუპატიურებასა და კითხვაზე: თუ როგორ აღმოჩნდა ლორა სმიტის უკანა ტანში კობაურის გენეტიკური პროფილი, მე ასეთი კითხვა მექნება საპასუხოდ, რომ რატომ იყო რაიან სმიტის გენეტიკური კვალი მისივე უკანა ტანში? ეს ნიშნავს, რომ ექსპერტიზის პასუხი არ არის ნამდვილი და მინიმუმ ფალსიფიცირებულია. შეეშალა ექსპერტიზას ან ფალსიფიცირება მოხდა.

აქ არის სხვა ექსპერტიზაც ჩატარებული და არ დასტურდება, რომ იყო ძალადობა ან გაუპატიურება. ჩვენ არ გვედავებიან ქალის გაუპატიურებას, ჩვენ გვედავებიან ბავშვის და კაცის მკვლელობას, – განაცხადა ლექსო კობაიძემ.

პროკურორ დავით ყაზარაშვილის თქმით, პროკურატურა მალხაზ კობაურს ამ დროისათვის ლორა სმიტის გაუპატიურებას არ ედავება.

პროკურორის განცხადებით, თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა ლორა სმიტი, ამაზე ჯერჯერობით კომენტარს ვერ გააკეთებს.

– ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ლორა სმიტის უკანა ტანში აღმოჩნდა კობაურის სპერმა, ეს მტკიცებულება არის საქმეში, თუმცა გვჭირდება მტკიცებულებათა ერთობლიობა. რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა და ახლო მომავალში შედეგიც იქნება. ის თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა ლორა სმიტი, ამაზე ჯერჯერობით კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვითარებები დადგენილია და ამის თაობაზე მალე გეცოდინებათ პასუხები.

ჯერჯერობით მალხაზ კობაურს ლორა სმიტის გაუპატიურებაში არ ვედავებით. ექსპერტიზის დასკვნა არსებობს, თუმცა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს გამოძიება იმ გარემოებებზე თუ როგორ აღმოჩნდა ეს სპერმა ლორა სმიტის სხეულში. გარდაცვლილს ეტყობოდა ძალადობის კვალი. განვმარტავ, რომ ამ საქმეში გარდა მალხაზ კობაურისა, სხვა პიროვნება არ იკვეთება, რაც შეეხება ლორა სმიტის ნაწილს, ბრალდება დღეის მდგომარეობით კვლავ პირვანდელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მალხაზ კობაურს არ ჩაუდენია დანაშაული. მტკიცებულებები არსებობს, თუმცა საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა, – განაცხადა დავით ყაზარაშვილმა.

„ბასიანსა“ და „გალერიში“ დაკავებული 2 პირისგან შეძენილი ნივთიერების ნაწილი ნარკოტიკი არ აღმოჩნდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული ქეთი მურუსიძისგან განხორციელებული 5 საკონტროლო შესყიდვიდან 3 შემთხვევაში შეძენილ იქნა არანარკოტიკული საშუალებები.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის მაისში, ე.წ „კლუბების საქმის“ გამოძიების ფარგლებში ბრალდებულის სახით დაკავებულ ქ.მ.-ისგან განხორციელდა 5 საკონტროლო შესყიდვა, საიდანაც 2 შესყიდვის შემთხვევაში მან ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზის“ რეალიზაცია განახორციელა, 3 შემთხვევაში კი შეძენილი იქნა არა ნარკოტიკული საშუალებები.

ასევე, ბრალდებულის სახით დაკავებულ ლ.მ.-სგან განხორციელდა 2 საკონტროლო შესყიდვა, საიდანაც 1 შესყიდვის შემთხვევაში მან არანარკოტიკული ნივთიერება, ხოლო 1 შესყიდვის შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ გაყიდა.

რაც შეეხება ბრალდებულ ვ.ჟ-ს საგამოძიებო ღონისძიებების დროს მისგან განხორციელდა ორი საკონტროლო შესყიდვა და ჩატარებული ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ის ნარკოტიკულ საშუალების მდმა-ის რეალიზაციას ახორციელებდა. ასევე, ვ.ჟ.-ს პირადი ჩხრეკისას გამოძიების მიერ ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები.

საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორები „ახალ კლიენტებზე“ ასაღებენ „ფეიქებს,“ – არანარკოტიკულ საშუალებებს, სანამ საბოლოო ნდობაში არ შევლენ მათთან“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„საფინანსო კომპანია საქართველოს“ მიერ დაზარალებულებმა მთავარ პროკურორთან შეხვედრაზე უარი თქვეს

საქართველოს მთავარ პროკურატურასთან მიმდინარე აქციის მონაწილეებს, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ წარმომადგენლების მიერ დაზარალებულ პირებს მთავარმა პროკურორმა შალვა თადუმაძემ შეხვედრა მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს შესთავაზა, თუმცა დაზარალებულებმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადეს.

პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაზარალებულთა ნაწილი კომპანიის ფაქტობრივი მმართველის, მსჯავრდებულ მ.ფ.-ს პატიმრობიდან გათავისუფლებას და მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ითხოვს.

სასამართლოს ორივე ინსტანციამ პროკურატურის მტკიცებულებათა საფუძველზე მოქალაქეთა კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვისთვის შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ ხელმძღვანელი პირები – თ.ლ., თ.მ. და მ.ფ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 25,182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. სასჯელის სახედ და ზომად მ.ფ.-ს 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, თ.ლ.-ს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ხოლო თ.მ.-ს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახედ სამივე მსჯავრდებულს განესაზღვრა თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

დღეის მდგომარეობით, სააპელაციო ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი დაცვის მხარის მიერ უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. მისი განხილვა არ დაწყებულა, რაც არაერთხელ განემარტა დაზარალებულებს.

სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2.343 მოქალაქე. პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია, ყველა დაზარალებულს აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი, რაც არაერთხელ განემარტა როგორც დაზარალებულებს, ასევე მსჯავრდებულ პირებს.

– მთავარ პროკურორთან შეხვედრის შეთავაზებაზე უარისა და საქმის შემდგომ მსვლელობაზე, მათ შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნაზე რეაგირების სამართლებრივ საფუძვლებზე არაერთი განმარტების მიღების შემდეგ, არსებული მოთხოვნებით პროკურატურასთან საპროტესტო აქციის ჩატარების მოტივი გაუგებარია, – აცხადებენ პროკურატურაში.

სამზარეულო დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და მიიმალა

მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებულს 10 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებული მ.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 15 იანვარს, ქ. თბილისში, განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევმა მ.ს.-მ პირადი მოტივით გამოწვეული კონფლიქტის დროს მის ნაცნობს ა.ბ.-ს სამზარეულო დანით სხეულის სხვადასხვა ადგილებში მრავლობითი, მათ შორის ერთი სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მ.ს. 2018 წლის 17 იანვარს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაული) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პოლიციამ სოფელ ლამბალოდან გატაცებული 17 წლის გოგონა იპოვა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოდან 12 ოქტომბერს გატაცებული 17 წლის ჰუსნია მამედოვა პოლიციამ იპოვა.

არასრულწლოვანი სახლიდან 12 წლის დის თანდასწრებით მოიტაცეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს მკვიდრი 17 წლის ჰ.მ. გატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარაში იპოვეს.

არასრულწლოვნის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ამ დროისათვის მასთან ფსიქოლოგი მუშაობს, რის შემდეგაც ფსიქოლოგისა და ადვოკატის თანდასწრებით მოხდება მისი გამოკითხვა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყეს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას გულისხმობს.

გამოძიება გრძელდება და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ფაქტზე მონიტორინგს ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობის კვალი საუდის პრინც სალმანთან მიდის

რამდენიმე დღის წინ გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ჟურნალისტ ჰაშოგის უკანასკნელი სტატია გამოაქვეყნა. მასზე ჟურნალისტი მუშაობდა მანამ, სანამ გაუჩინარდებოდა.

სტატიაში ჰაშოგი წერს, რომ არაბულ ქვეყნებს ახლა ყველაზე მეტად სიტყვის თავისუფლება სჭირდებათ. ჟურნალისტი აკრიტიკებს ხელისუფლებას, რომელიც დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე ზეწოლას ახორციელებს და პრესის გაკონტროლებას ცდილობს.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩავიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ანკარაში. ის თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ერდოღანს, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრ ჩავუშოღლუს შეხვდა.

პომპეომ განაცხადა, რომ ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ ჟურნალისტ ჰაშოგის საქმე გაირკვეს.

გაზეთი „უოლ სთრით ჯორნალი“ ამტკიცებს, რომ ჰაშოგი პრინც მუჰამად სალმანის ბრძანებით მოკლეს. ჟურნალისტს ჯერ მხეცურად სცემეს, შემდეგ მოკლეს, გვამი კი ნაკუწნაკუწ დაჭრესო. თუმცა ამას ჯერჯერობით მხოლოდ ჟურნალისტები ამტკიცებენ.

პომპეომ მედიას განუცხადა, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლების პოზიცია მტკიცეა: დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაისაჯოს.

– მჯერა, რომ ასეც იქნება, – ამბობს პომპეო.

ამასობაში თურქეთის პოლიციამ საუდის არაბეთის კონსულის რეზიდენცია გაჩხრიკა.

„ნიუ იორკ ტაიმსი“ იტყობინება, რომ უკვე გამოიკვეთა 5 ეჭვმიტანილი, რომლებსაც ჰაშოგის გაქრობასთან აქვთ კავშირი. ყველა მათგანი საუდის არაბეთის პრინც მუჰამად სალმანთან არის დაკავშირებული.

ვინ არის ქერჩელი მსროლელი?

დადგინდა იმ პიროვნების ვინაობა, რომელმაც ქერჩის ტექნიკუმზე თავდასხმა განახორციელა. ეს ამავე ტექნიკუმის მე-4 კურსის სტუდენტი ვლადისლავ როსლიაკოვია.

ქერჩელი მსროლელი ქერჩის მკვიდრია. მისი მშობლები გაყრილები არიან. როსლიაკოვი დედასთან ცხოვრობდა. საკუთარი სახლი არ ჰქონდათ და ბინას ქირაობდნენ. როსლიაკოვის დედა ონკოლოგიურ ცენტრში მუშაობდა.

როსლიაკოვი პუტინის ფანი და ყირიმის რუსეთთან შეერთების თავგამოდებული მომხრე იყო. თავისი პოზიცია მან სოციალური ქსელებით არაერთგზის დააფიქსირა. როსლიაკოვს ჰქონდა იარაღის ტარების უფლება. ცეცხლიც ამ იარაღიდან გახსნა.

თანახმად თვითმხილველთა ცნობისა, როსლიაკოვს სძულდა ტექნიკუმი და მისი პედაგოგები. მას თურმე რამდენიმეჯერ უთქვამს, ყველას ძაღლებივით მივახვრეტო. მან თავისი მუქარა შეასრულა, ბოლოს კი თავი მოიკლა.

ბოლო ინფორმაციით, ქერჩის აფეთქების მსხვერპლთა რაოდენობა 20-მდე გაიზარდა.

პუტინმა აფეთქება ქერჩის კოლეჯში ამერიკას, გლობალიზაციასა და ინტერნეტს დააბრალა

ქერჩის კოლეჯში მომხდარი ტრაგედია გლობალიზაციის შედეგია. ეს სოციალური ქსელებიდან და ინტერნეტიდან მოდის, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

– როგორც ჩანს, გუშინდელი ტრაგედია, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გლობალიზაციის შედეგს წარმოადგენს. ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალურ ქსელებში, ინტერნეტში არსებობს გაერთიანებები, ინტერესთა კლუბები. ეს ყველაფერი ამერიკულ სკოლებში მომხდარი ცნობილი ტრაგიკული მოვლენებიდან დაიწყო, – განაცხადა პუტინმა.

ლავროვი: „რუსეთი აზოვის ზღვაში ნატოს გემებს არ შემოუშვებს!“

– რუსეთი აზოვის ზღვაში ნატოს ხომალდებს არ შემოუშვებს! – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

მისი თქმით, აზოვის ზღვაზე უკრაინა-ნატოს სწავლების ჩატარება პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. ლავროვმა ასევე პროვოკაციული უწოდა ნატო-საქართველოს მანევრებს შავ ზღვაზე, პოლონეთში ნატოს დივიზიების განთავსებასა და ა.შ.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აქციები! – თქვა ლავროვმა.

მერკელი: „ევროპამ კიბერშეტევებისგან თავი უნდა დაიცვას!“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ევროპას რუსული კიბერშეტევები ემუქრება.

– ჩვენ უკვე ვიცით, კიბერშეტევის შედეგად ამომრჩევლის ნება როგორ შეიძლება იქნას გათელილი, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდა, რომ რუსული აგრესიისგან ერთად დაიცვან თავი და საამისოდ ერთიანი სტრატეგია შეიმუშაონ.

აშშ-მ სომალელ ტერორისტებს დაარტყა

აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა განახორციელეს დარტყმა სომალის ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-შაბიბის ბაზაზე.

ოპერაცია სომალის მთავრობასთან კოორდინაციით მოხდა.

განადგურებულია 60 მებრძოლი ბოევიკი.

მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არ არის.

დაღესტანში პოლიციის უფროსი გაუჩინარდა

დაღესტნის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი მაგომედოვი გაუჩინარდა.

მას ბრალად ედებოდა სოფელ ანსარის ერთ-ერთი მცხოვრების ცემა.

მაგომედოვს გამომძიებელი ტელეფონით დაუკავშირდა და წაყენებული ბრალდების შესახებ ამცნო. მაგომედოვმა პასუხად განუცხადა, რომ დაკითხვაზე მივიდოდა და ყველაფერს ზედმიწევნით აუხსნიდა. პოლიციელმა პირობა არ შეასრულა. ის მიიმალა.

მიტროპოლიტი ლუკა: „ჩემთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქო უკვე აღარ არსებობს!“

ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის მიტროპოლიტმა ლუკამ განაცხადა, რომ მისთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქო უკვე აღარ არსებობს.

– რადგან მსოფლიო პატრიარქმა მხარი დაუჭირა უკრაინელ „რასკოლნიკებს“, მასთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს! – აცხადებს ლუკა.

ხსენებულ მიტროპოლიტს უკრაინაში ფრიად ოდიოზური მღვდლის რეპუტაცია აქვს. მან საჯაროდ აღავლინა წირვა რუსული არმიის გამარჯვებისთვის დონბასში. ამის გამო მრევლმა მისი ჩაქოლვა მოიწადინა. მიტროპოლიტი ამისგან უკრაინელმა ნაციონალისტებმა იხსნეს.

– მღვდლის ლინჩის წესით გასამართლება არ შეიძლება, – განაცხადა მიტროპოლიტ ლუკას ერთ-ერთმა მხსნელმა ბელეცკიმ.

ამავე დროს, მან ისიც აღნიშნა, რომ ისეთები, როგორიც ლუკაა, უკრაინიდან უნდა გააძევონ.

– თუმცა ეს ხელისუფლებამ უნდა ითავოს. აუცილებელია, ყოველივე კანონის დაცვით მოხდეს, – მიიჩნევს ბელეცკი.

გერმანიამ ბულგარელი ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბულგარეთს გადასცა



გერმანიამ ბულგარეთს გადასცა ვინმე კრასიმიროვი, რომელიც ჟურნალისტ ვიოლეტა მარინოვას მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

როგორც ცნობილია, მარინოვას მხეცურად გაუსწორდნენ. ის თავში დარტყმით გააბრუეს, გააუპატიურეს და მოკლეს.

თვითმფრინავი, რომელშიც კრასიმიროვი მოათავსეს, სოფიის აეროპორტში დაეშვა. აეროპორტი გაძლიერებული დაცვის ქვეშ აიყვანეს. ახლა კრასიმიროვი უკვე წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მადრიდში ახალ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ელიან

გასული სეზონის ბოლოს ზინედინ ზიდანმა მადრიდის რეალი დატოვა. სამეფო გუნდი მის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატს განიხილავდა და არჩევანი საბოლოოდ ხულიან ლოპეტეგიზე შეაჩერეს.

ბლანკოსის ახალ თავკაცს სეზონის სტარტი არ გამოუვიდა. რეალი არადამაკმაყოფილებელ შედეგებს აჩვენებს და, აქედან გამომდინარე, ახალი მწვრთნელის მოყვანაზე დაიწყეს ფიქრი.

უცხოურ პრესაში უკვე დაიწერა, რომ მადრიდელებს მალე, შესაძლოა, ანტონიო კონტე ჩაუდგეს სათავეში. სამეფო გუნდის მესვეურები იტალიელ სპეციალისტს შეხვდნენ და მოლაპარაკებები გამართეს. ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერი თქმულა, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

49 წლის ანტონიო კონტე ამჟამად ლონდონის ჩელსისთან დავით არის დაკავებული – იტალიელი სპეციალისტი ლონდონურ კლუბს ვადამდე გათავისუფლებისთვის 10 მილიონ ევროს სასამართლოს ძალით ედავება.

რეალი კი ხულიენ ლოპეტეგის ხელმძღვანელობით ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ 3 მატჩია, მოგებას ვინ ჩივის, გოლის გატანასაც ვერ ახერხებს – ფრე და 2 მარცხი, ბურთების შეფარდება 0:4. კიდევ ერთი შეხვედრა მადრიდელებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსკოვში ცსკა-სთან წააგეს (0:1).

52 წლის ხულიენ ლოპეტეგიმ რეალი ივნისში, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში თანამდებობის სკანდალით დატოვების შემდეგ ჩაიბარა. უკვე დაიწერა, რომ ლოპეტეგის ბედი მადრიდულ კლუბში სეზონის პირველ „კლასიკოში“ გადაწყდება – 28 ოქტომბერს ბარსელონა „კამპ ნოუზე“ რეალს უმასპინძლებს.

მადრიდის რეალს ჩემპიონატში გასული 8 ტურის შემდეგ 14 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილს იკავებს.

ანტონიო კონტეს ბოლო სამუშაო ადგილი ლონდონის ჩელსი იყო, მანამდე კი იტალიის ნაკრებს, იუვენტუსს, სიენას, ატალანტას, ბარისა და არეცოს წვრთნიდა.

რეალის ირგვლივ ინფორმაციები სხვადასხვა ფეხბურთელებზეც ვრცელდება.

ერთ-ერთი ასეთია ჩელსიდან ედენ აზარის გადაბირება, რომლის ტრანსფერში მადრიდელები ლუკა მოდრიჩის ჩართვას გეგმავენ.

ლონდონურმა კლუბმა აზარს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, სადაც მისი წლიური სარგო 18 მილიონი ევრო იქნება, რაც თავისთავად ძალიან მიმზიდველი წინადადებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფლორენტინო პერესი დამატებითი ბერკეტების გამოყენებას აპირებს. ესპანელი პრეზიდენტი ახლა ჩელსის დაინტერესებას მოდრიჩით გეგმავს.

130 მილიონი ევრო და ხორვატი ნახევარმცველი – სწორედ ეს იქნება რეალის ახალი წინადადება, რომლითაც „არისტოკრატთა“ ხელმძღვანელობა უნდა მოხიბლოს.

ესპანური გამოცემები იმასაც იუწყებიან, რომ რეალი მოდრიჩის ერთ-ერთ შემცვლელად ფრანგი ნახევარმცველის, ნგოლო კანტეს კანდიდატურას განიხილავს.

სხვა ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ჩელსი აზარსა და კანტეს ერთად არ შეელევა და ფლორენტინო პერესს არჩევანის გაკეთება მოუწევს.

ბრიტანული გამოცემები იუწყებიან, რომ რეალმა მანჩესტერ სიტისგან პასუხი მიიღო, რომელიც რაჰიმ სტერლინგის მადრიდში ტრანსფერს უკავშირდება. ბრიტანული მხარე მზად არის, მოლაპარაკებები უმალვე დაიწყოს, თუმცა ფლორენტინო პერესს კომპრომისზე წასვლა მოუწევს. კერძოდ, სიტი მზად არის, სტერლინგი რეალში გაუშვას, მაგრამ ამის სანაცვლოდ გვარდიოლას გუნდს ტონი კროოსი უნდა დაემატოს.

რეალის კიდევ ერთი ფეხბურთელით ლივერპულია დაინტერესებული. ლუკას ვასკესი ლოპეტეგის ფორმაციის რეალში არც ისე ხშირად ჩანს მოედანზე. ზიზუს მმართველობის დროს ესპანელი წინახაზელი ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად ხვდებოდა, მაგრამ ახლა ვითარება შეცვლილია, რაც თავად ფეხბურთელისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

იურგენ კლოპს ვასკესის შეძენა გასული ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროსაც სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. როგორც ჩანს, კლოპი ახლაც იმედიანად არის განწყობილი და ესპანელისთვის ბრძოლას ზამთარში გააგრძელებს.

ფაჩულიას მე-16 გაელვება და შერმადინის 26 ქულა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თავისი მე-16 სეზონი დაიწყო ზაზა ფაჩულიამ, რომლის დებიუტი დეტროიტ პისტონსში შედგა. ქართველმა ცენტრმა სეზონის გახსნის მატჩში ბრუკლინის წინააღმდეგ ითამაშა და თავის გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. დეტროიტელებმა შეხვედრა 103:100 მოიგეს.

ფაჩულია სათადარიგო იყო. ცენტრის პოზიციაზე უმეტესი დრო – 32 წუთი ანდრე დრამონდმა გაატარა, რომელმაც 24 ქულით და 20 მოხსნით მატჩის საუკეთესო შედეგი დაფიქსირა. ქართველ ცენტრს თამაშმა 15 წუთით მოუწია. ის საკმაოდ პროდუქტული იყო და 6 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ზაზამ 6-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო მატჩი დეტროიტელებს ჩიკაგოში ბულსთან ელით.

თორნიკე შენგელიამ ევროლიგაში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა, თუმცა მისი გარჯა კონტინენტის ერთ-ერთი გრანდის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ბასკონიამ ბერძნულ ოლიმპიაკოსს უმასპინძლა და 5 ქულის სხვაობით – 80:85 დამარცხდა.

შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე არასრული 26 წუთი გაატარა. თორნიკემ 10-დან 7 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 21 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დაგროვდა.

სარგებლიანობის კოეფიციენტით (24) შენგელია ბასკონიელთაგან საუკეთესო იყო. მატჩის მვპ კი ოლიმპიაკოსელი ნიკოლა მილუტინოვი გახდა, რომელმაც 23 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

2 ტურის შემდეგ თითო მოგებ-წაგებით ბასკონია 16-გუნდიანი ევროლიგის მე-9 ადგილზე იმყოფება. შემდეგ ტურში ბასკონიელები მადრიდში რეალს შეხვდებიან.

ჩერნოგორიაში შედგა გიორგი შერმადინის ბენეფისი. ულების ევროთასის მორიგი ტურის მატჩი უნიკახამ სტუმრად, ბარის მორნართან გამართა, რომელიც ქართველი ცენტრის წინამძღოლობით 96:85 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ცენტრი მალაგური გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო და მატჩში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. შერმადინმა 21 წუთში 26 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ 14-დან 11 ორქულიანი, 3-დან 1 საჯარიმო და რაც ძალიან იშვიათია, სამქულიანი ჩააგდო.

ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 34-ს გაუტოლა და დიდი შანსია, გასული მატჩის მსგავსად, ის ევროთასის მე-3 ტურის საუკეთესო კალათბურთელიც გახდეს.

უნიკახას 2 მოგება და 1 მარცხი მოუგროვდა და ევროთასის დ ჯგუფში მე-2 ადგილზე იმყოფება, მომდევნო ტურში კი ყაზანის უნიკსს უმასპინძლებს.

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული კალათბურთელის ტედ მაკფადენის ტენერიფემ პარიზში ადვილად სძლია ადგილობრივ ნანტერეს – 75:58.

მაკფადენმა 28 წუთში 11 ქულა ჩააგდო (2-დან 1 ორქულიანი, 8-დან 3 სამქულიანი) და 4 შედეგიანი პასი გააკეთა.

დუდუ დადიანის თასზე დელტა ყოჩაღობს

დუდუ დადიანის მემორიალის მეორე ტურში პირველზე არანაკლებ დაძაბული და საინტერესო მატჩები გაიმართა. გათამაშებაში ახალი 2 გუნდი – ქუთაისი და ბათუმი ჩაებნენ, რომლებიც პირველ ტურში ისვენებდნენ.

მეორე ტურის შემდეგ ლიდერი გამოიკვეთა. თბილისის დელტა გახლავთ ერთადერთი გუნდი, რომელსაც 2 გამარჯვება დაუგროვდა.

ქუთაისი-მგზავრები 81:74

ქუთაისი წარმატებით ჩაება დადიანის მემორიალში. რიონისპირელები წინა გათამაშებას ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ დინამოსთან მარცხით გამოეთიშნენ და წელს ტიტულის მოგების ამბიცია გააჩნიათ. იმერული კლუბის მეტოქე მგზავრები გახლდათ, რომელმაც წინა ტურში ტიტებს სძლია.

ეს შეხვედრაც დაძაბული და თანაბარი გამოდგა, რომლის კვანძიც ბოლო წუთებზე, ქუთაისელთა სასარგებლოდ გაიხსნა. რეგიონის წარმომადგენლებმა მგზავრებს 7 ქულის სხვაობით – 81:74 მოუგეს.

ქუთაისმა გასული სეზონიდან ორივე ლეგიონერი – დეჟან რაიტი და ჯონათან ლი შეინარჩუნეს, რაც ამ გუნდისთვის საკმაოდ დიდი პლუსია. ამერიკულმა ტანდემმა კარგად შეისწავლა ქართული სუპერლიგა და მომავალ სეზონში იმერულ კლუბს კიდევ უფრო დაეხმარება. ქუთაისელებმა დაიმატეს ეროვნული ნაკრების წევრი ლევან ფაცაცია და პერსპექტიული ახალგაზრდა დავით ლომიძე. შესაბამისად, დადიანის მემორიალზე ყველა მატჩს შესათამაშებლად გამოიყენებენ და თან ტიტულის მოგებასაც ეცდებიან, რაც ერთადერთხელ, 2011 წელს აქვთ აღმართული.

ტიტები-ჯაჯტესი 78:76

ამ მატჩის ბედი დასრულებამდე ბოლოსწინა წამზე გადაწყდა. ტიტების კაპიტანმა ბესო ლეჟავამ სამქულიანით 78:76 დააწინაურა თავისი გუნდი და შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდა. მანამდე კი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა მცირედით, ხან – მეორე.

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდისთვის პირველი ტურის მატჩიც თანაბარი და დაძაბული იყო, რომელიც ორივემ ბოლო წამებზე წააგო. შესაბამისად, დღევანდელ მოგებას სუპერლიგის დებიუტანტისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მგზავრებთან წაგების შემდეგ, დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ტიტებმა დადიანის მემორიალზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. რაც შეეხება კაკტუსს, ამ გუნდმა ტურნირის ორივე მატჩი ბოლო წამზე წააგო და ჯგუფის დარჩენილ მატჩებს მეტი მობილიზებით შეხვდება.

დინამო-დელტა 73:84

დადიანის მემორიალისა და სუპერლიგის ჩემპიონის კვალობაზე დინამო შეუფერებლად თამაშობს. ირაკლი ხოშტარიასა გაწვრთნილმა გუნდმა მიმდინარე ტურნირში მეორე მატჩიც წააგო. დინამოელები ჯერ თსუ-ჰიუნდაისთან ბოლო წამებზე დამარცხდნენ, ამჯერად კი დელტასთან შეხვედრა შედარებით იოლად – 11 ქულით დათმეს.

დინამოს ჰყავს ეროვნული ნაკრების 3 წევრი – მიხეილ ბერიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი და მიხეილ ჭოჭუა, ასევე 3 ლეგიონერი, თუმცა ფაქტია, რომ შეთამაშება აკლია და მომავალში თუ ეს კომპონენტი არ გამოასწორა, ახალდაწყებულ სეზონში გაუჭირდება. დელტას მოთამაშეებს და მწვრთნელებს კი მხოლოდ ქება ეკუთვნით. სამაგალითო შემართებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე ეს გუნდი ზედიზედ მეორედ იგებს და დუდუ დადიანის მემორიალზე პირველია, რომელმაც მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ხუსთავი-ბათუმი 70:56

ბათუმი პირველ ტურში ისვენებდა, ხოლო რუსთაველებმა სადებიუტო მატჩი ზემოთ ხსენებულ დელტასთან წააგეს. რეგიონის წარმომადგენელთა შეხვედრა ქვემოქართლელთა გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის დიდი ნაწილი წინ ზღვისპირელები იყვნენ, თუმცა დასკვნით პერიოდში, როცა გადამწყვეტი ეპიზოდი დადგა, რუსთაველებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და მემორიალზე მოგებ-წაგება გაითანაბრეს.

საქართველომ მსოფლიო ტალანტი ვერ გადმოიბირა

როგორც ირკვევა, საქართველომ მსოფლიოს ჩემპიონი „დაკარგა“. საქმე ის არის, რომ ძიუდოს ისტორიაში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონმა, 18 წლის უკრაინელმა გოგონამ დარია ბილოდიდმა განაცხადა, რომ რამდენიმე ქვეყანა მოქალაქეობის შეცვლასა და დიდ თანხას სთავაზობდა, რომელთა შორის იყო საქართველოც.

დარია ცნობილი უკრაინელი ძიუდოისტების, გენადი ბილოდიდისა და სვეტლანა კუზნეცოვას ქალიშვილია. გოგონამ შარშან ევროპის ჩემპიონატი მოიგო, წელს კი სექტემბერში, ბაქოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიმარჯვა. ბაქოში ის ჯერ კიდევ 17 წლის იყო და ის ძიუდოს ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დარიამ იაპონელი ფუნა ტონაკი დაამარცხა.

2 დღის წინ კი ბაჰამის კუნძულებზე ძიუდოს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. უკრაინელმა გოგონამ ფინალამდე ოთხი ძიუდოისტი დაამარცხა, ფინალში კი იაპონელ სანა იოშიდას წუთსა და 56 წამში აჯობა.

დარია ბილოდიდი:

– ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, პატრიოტი ვარ. რა თქმა უნდა, გვაქვს ფინანსური პრობლემები, არ გვაქვს კარგი ოლიმპიური ბაზა და ძალიან ცუდ პირობებში ვართ. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა რომ ნახონ, როგორ ვვარჯიშობთ, ალბათ, შოკში ჩავარდებიან. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემთვის მაინც ძალიან სასიამოვნოა, როდესაც კვარცხლბეკზე ვდგავარ და სწორედ ჩემი ქვეყნის ჰიმნი მესმის. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რომელი ქვეყნები მთავაზობდნენ მათი დროშის ქვეშ გამოსვლას? აზერბაიჯანი, საქართველო, არაბეთის გაერთიანებული საემიროები. რა თქმა უნდა, ეს დიდ ფულს ნიშნავს, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი.

მოამზადა

მიხეილ ჟორჟოლიანმა

სქოულზი ლუკაკუს აკრიტიკებს

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი ფეხბურთელი, „წითური პრინცი“, პოლ სქოულზი ძალიან ხშირად კრიტიკულად არის განწყობილი ფეხბურთელების მიმართ და ხისტი განცხადებებითაც გამოირჩევა. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა იუნაიტედის ფორვარდ რომელუ ლუკაკუს შესახებ.

პოლ სქოულზი:

– არა მგონია, რომ ტიტულის მოგება შეძლოს გუნდმა, რომელსაც ისეთი ფორვარდი ჰყავს, როგორიც რომელუ ლუკაკუა. ასევე, არა მგონია, რომ საჯარიმოს გარეთ მისი თამაში მოწონებას იმსახურებს. არა მგონია არც ის, რომ ის საკმარისად ბეჯითად შრომობდეს. თუმცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს.

ძლიერია ფიზიკურად და სწრაფი, გააქვს ბევრი გოლი. ერთია, ლუკაკუ, როგორც იუნაიტედის ბევრი ფეხბურთელი, არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში. ვფიქრობ, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის, როგორი კარგი შეუძლია იყოს. მის პოზიციაზე არ არის საკმარისი კონკურენცია, რომ ის რაიმე სახის წნეხში იყოს, რაც აიძულებდა ბევრი იმუშაოს თავის თავზე.

ჩვენ დროს 4 ფორვარდი გვყავდა – კოული, იორკი, სოლსკიაერი და შერინგემი. მათაც ჰქონდათ ცუდი დღეები, თუმცა ისინი ცდილობდნენ, რომ არ ჩაენაცვლებინა ბოსს და ეს საბოლოოდ გუნდზე აისახებოდა დადებითად. მარსიალი და რეშფორდი ვერ ქმნიან ისეთ წნეხს, რომ ფორვარდის პოზიციაზე კონკურენცია იგრძნობოდეს.

ტორპედომ ლოკომოტივი დაამარცხა და სამეულს მიუახლოვდა

ტორპედო-ლოკომოტივი 3:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0, 2:0 კაპანაძე (4, 8), 3:0 ძიმაძე (10), 3:1 შონია (84)

ტორპედო: ქვილითაია, ხურცილავა, აზაკი, ქიმაძე (დოლიძე 67), მარინი, კობახიძე, ცინცაძე, დაფე (კუხიანიძე 57), გიგაური, კუტალია, კაპანაძე (ჰლინკა 82)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ძებნიაური, ქურდაძე, გაბაძე, შონია, გვალია, კომახიძე, არდაზიშვილი, კობახიძე (გრძელიძე 70), ჯონი (გავაშელიშვილი 46), ჯიქია (ოზბეთელაშვილი 84)

ეროვნული ლიგის 21-ე ტურის გამოტოვებული მატჩი ქუთაისის ტორპედოსა და თბილისის ლოკომოტივს შორის იმერეთის მთავარ ქალაქში გაიმართა და რიონისპირელთა გამარჯვებით დასრულდა.

ტორპედომ მატჩის ბედი დებიუტშივე გადაწყვიტა. მე-4 და მე-8 წუთებზე მასპინძელთა ფორვარდმა თორნიკე კაპანაძემ დუბლი შეასრულა. მე-10 წუთზე თავი გიორგი ქიმაძემ გამოიჩინა და ტორპედოს უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

სამივე გოლზე ასისტენტობა ქუთაისელთა სენეგალელმა ლეგიონერმა არფანგ დაფემ შეასრულა.

მეორე ნახევარში, ლოკომოტივმა ერთადერთი გოლის გატანა შეძლო. 77-ე წუთზე, თეიმურაზ შონიამ მიმდინარე ეროვნულ ლიგაში მე-5 გოლი გაიტანა. ლოკოს ნახევარმცველმა ერთი ბურთი გიორგი გაბაძის პასით გაქვითა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

ამ გამარჯვებით ტორპედო სამეულს მიუახლოვდა,

პლუს ერთი მატჩი თადარიგში აქვს.

სატუნირო ცხრილი:

1.საბურთალო	28	20	3	5	51-24	63
2.დინამო	27	18	4	5	53-24	58
3.დილა	28	13	10	5	48-34	49
4.ტორპედო	27	14	6	7	43-21	48
5.ჩიხურა	28	14	5	9	42-26	47
6.ლოკომოტივი	28	9	5	14	34-47	32
7.რუსთავი	28	6	11	11	25-34	29
8.სიონი	28	5	6	17	24-49	21
9.სამტრედია	28	3	9	16	22-49	18
10.კოლხეთი	28	4	7	17	23-57	13

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მოსწავლემ ბებიის ფერფლისგან ნამცხვარი გამოაცხო და თანაკლასელებს გაუმასპინძლდა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ დევისში სკოლის მოსწავლემ თავის სასწავლო დაწესებულებაში მიიტანა ნამცხვარი, რომელშიც გარდაცვლილი ბებიის კრემაციის შედეგად დარჩენილი ფერფლი იყო გარეული და თანაკლასელებს გაუმასპინძლდა.

მომხდარის შესახებ ცნობილი გახდა იმ ბიჭის მშობლების მონაყოლიდან, რომელიც ამ ყველაფრის თვითმხილველი გახდა.

– გოგონამ სკოლაში ყველას უთხრა, რომ მოიტანა ნამცხვარი, რომელშიც ადამიანის ნარჩენები იყო გარეული, – განაცხადა ერთ-ერთმა მოსწავლემ. მისი თქმით, სკოლის ადმინისტრაციამ ის მომხდარის თაობაზე გამოკითხა, მოსთხოვა, რომ ჩვენებაზე ხელი მოეწერა და ამის შესახებ არავისთვის ეთქვა.

მოსწავლის დედამ სკოლის დირექტორს ჩვენების ასლის გადაცემა მოსთხოვა. მისი თქმით, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი უფრო მეტად საკუთარი რეპუტაციის გამო ღელავდა, ვიდრე მოსწავლეების დაცვაზე.

სკოლის ხელმძღვანელობამ მომხდარის კომენტირებას თავი აარიდა. პოლიციაში კი განაცხადეს, რომ მომხდარის გამოძიება მართლაც წარმოებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქართველებო, გაიღვიძეთ!

რუსეთში ძალიან ძლიერია სომხური ლობი!

დმიტრი პესკოვი და ბადრი ნაჭყებია

მარტო ელენა ბონერ ზატულინ-მიგრანიანი და საქართველოს წინააღმდეგ მათი შავბნელი გეგმების გახსენება რად ღირს. ეს ჯგუფი კი ლავროვს უკავშირდება და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩვენ წინააღმდეგ აქტიურად მუშაობს. ბადრი ნაჭყეპია არის ჩვენი წარმომადგენელი მოსკოვში, რომელიც პუტინის მრჩეველის – პესკოვის მეგობარია. ბადრი არის უკეთილშობილესი ადამიანი. დაალაგეთ ურთიერთობები რუსეთთან ისეთი კაცის გამოყენებით, როგორიც ბადრია. ერთი ვერ გაგიგიათ, ურუსეთოდ არაფერი გამოვა, სულ ასეთ კინკლაობაში უნდა ვიყოთ. სად არის ჩვენი დიპლომატია. მოკლედ, რაც ცუდი ურთიერთობა გვექნება რუსეთთან, ამ ლობისტებს ხელს აძლევს. ის კი არა, სამცხე-ჯავახეთის ავტონომიაზე „ჩალიჩობენ“ ეს ჩვენი ვითომ ძმები სომხები. მათ არ აწყობთ ჩვენი კარგი ურთიერთობა რუსეთთან. ფაქტია, რომ მუშაობა მიდის და არსებობს სერიოზული სეპარატისტული გეგმები ჩვენ წინააღმდეგ. მივმართავ ამ უნიათო მთავრობას, სწორად განსაზღვრეთ მათი მოქმედება, თორემ მერე გვიან იქნება. მესროფ მაშტოცი დამაჯერებლად ამბობს, ქართული ანბანი მე დავწერეო. ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა, ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა თქვა, მესროფ მაშტოცი ცრუობს, როგორ დაწერდა ქართულ ანბანს, როცა თვითონ ქართული არ იცოდაო. ასეთი „მიმწოლები“ არიან ჩვენი სომეხი ძმები. საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილია ძეგლი ქართული ანბანისა. დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს კუთვნილი ადგილი ქართულ სკოლაში უკვდავ ეროვნულ ძეგლს – იაკობ გოგებაშვილის დედაენას. ჩვენი ანბანი ხომ შედევრია. ეს მთელმა მსოფლიომ აღიარა. ვინც ამ მოქმედებას გვერდს აუვლის, ის უნდა დაისაჯოს, როგორც ერის მოღალატე. გული მწყდება, რომ ნელ-ნელა იკარგება ძმაკაცობა და სიყვარული. რას იზამ, დროის ამბავია.

იბო დოლიძე

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

19 ოქტომბისათვის

ვერძი – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **ლომი** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ქალწული** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **სასწორი** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ძალზე იღბლიანი დღეა, მაგრამ ექსპერიმენტებისგან თავი უნდა შეიკავოთ. უმჯობესია, მშვიდად იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **თხის რქა** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **მერწყული** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის, მტკიცე, გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 11. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. გერმანიაში გამოყვანილი უხეშბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. კვანტური გენერატორი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 22. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

თარაზულად: 5. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 7. მჭევრმეტყველი ადამიანი; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10 ღამის პეპელა; 12. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა ძველად; 14. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი; 20. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 23. ოპერა „მინდიას“ პერსონაჟი; 24. შვედური სავაჭრო-სამრეწველო კომპანია; 25. უღელტეხილი კავკასიონზე; 26. უბანი თბილისში; 27. გულის ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. ივერი; 5. რური; 6. ლაქშმი; 8. უინფრი; 11. ენციკლიკა; 13. ბარამბო; 14. ფიდიასი; 15. ვირშები; 19. ნიკე.

თარაზულად: 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. რავიოლი; 10. ჩექმა; 12. ვეფხვები; 16. ცილინდრი; 17. ირიკეზი; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. ჩოხა; 22. ოპონენტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რინერი; 2. ვისკი; 3. ელიავა; 4. უჯარმა; 6. ასფალტი; 9. საარი; 11. ბიშკეკი; 15. ალარმისტი; 16. დაბაღი; 17. მუჰამედი; 19. ისტვუდი; 21. ბობსლეი; 22. კრუიფი.

თარაზულად: 5. ყინწვისი; 7. სუარესი; 8. შანიძე; 10. ვაქცინა; 12. მძივი; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ტოკაი; 20. ფატუმი; 23. ტრამპი; 24. ბეკი; 25. მულამი; 26. ფეტა; 27. ნებიერი.

გულბათ ტორაძე გარდაიცვალა



ცნობილი მუსიკისმცოდნე, ხელოვნების ქურუმი, კონსერვატორიის ემერიტუს-პროფესორი გულბათ ტორაძე 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გულბათ ტორაძემ კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის განყოფილებაზე ისწავლა. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონსერვატორიაში პედაგოგად, იყო ქართული ენციკლოპედიის მუსიკის სექციის თავმჯდომარე, მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, ეწეოდა სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ორი წლის წინ კულტურის სამინისტრომ უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი" ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიანიჭა. გულბათ ტორაძე იყო ღირსების ორდენის მფლობელი და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ინფორმაცია გუბლათ ტორაძის გარდაცვალების შესახებ ოპერის მომღერალმა ნიკოლოზ ლაგვილავამ გაავრცელა:

– ძალიან ბევრი კომპლიმენტი და გულშემატკივრობა მახსოვს მისგან.

თავისი საქმის მცოდნე, მრავალი რამის მომსწრე და შემფასებელი ყველასათვის საყვარელი ბატონი გულბათი.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა...

ბაკურ ბაკურაძე ხელოვანებს აკრიტიკებს

დიზაინერი ბაკურ ბაკურაძე ხელოვანებს აკრიტიკებს და მათ აზრების დალაგებას ურჩევს:

– ჩემთვის ყველაზე მთავარი! ე.წ. მუსიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, პუბლიცისტებსა და „ყოვლისმცოდნეებს" რაც შეეხება:

მუდმივად მესმის მათი გამონათქვამები სხვადასხვა ეთერში – „მე მხარს ვუჭერდი სააკაშვილს 2003 წელს და შევცდი, არ გაამართლა იმ ხელისუფლებამ, 2012 წელს მე მხარს ვუჭერდი „ქართულ ოცნებას" და ვხედავთ, რომ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდესო"!

ან აზრები დაალაგეთ! ან ამ იდიოტიზმს ნუ ლაპარაკობთ!

ხომ ხედავთ, ამდენი წელია, რომ არასწორ პროგნოზებს აკეთებთ, მუდმივად „არასწორ პოლიტიკურ ძალებსა" და „არასწორ პროცესებს" უჭერთ მხარს და ამას თავადვე აღიარებთ!

წადით რა, თქვენი საქმე აკეთეთ, რაც არაჩვეულებრივად გამოგდით, რითაც უყვარდით ხალხს, მოეშვით არასწორ ადგილას დგომას, ამომრჩევლის თუნდაც მცირე ნაწილისათვის ტვინის არევასა და დიდი ნაწილისათვის ნერვების შლას!

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ციცინო ლომიძე, შვილები მერაბი და ნუგზარი, რძლები ხათუნა კოჭლამაზაშვილი და მარინე ბერიკაშვილი, შვილიშვილები ბექა, სალომე, მარიამი, ნინო, ანა, ლუკა, შვილთაშვილი ბარბარე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ (ავთო) ლევერაშვილი

პანაშვიდი: 19 ოქტომბერს;

დაკრძალვა: შაბათს, 20 ოქტომბერს;

მისამართი: გლდანის V მიკრორაიონი, 26ª კორპუსი.

გაზეთ „ახალი თაობის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მერაბ ლევერაშვილს მამის

ავთანდილ ლევერაშვილის

გარდაცვალების გამო.

ძმა ბექირბი, და ანიკო, ძმისშვილები ნესტან, უსუპ, ამირან დადეშქელიანები იუწყებიან

როენა ბინაგვერის ასულ დადეშქელიანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 20 ოქტომბერს, 15 საათზე, მესტიის რაიონის სოფელ მაზერში.

ლენა, სოსო, ზვიად, შუქური, ნათია, ნინო კვიციანები, მარინა ცქიტიშვილი, ნარგიზა, ვახტანგ ფანგანები ოჯახებით იუწყებიან

როენა დადეშქელიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დავით შემოქმედელი: „დაარსდეს ქართული კულტურის ცენტრი, სახელწოდებით „საქართველო – რუსთაველის სახლი"



ამ მოწოდებით საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი დავით შემოქმედელი გამოვიდა და საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს საგანგებო წერილი გაუგზავნა:

– დაარსდეს ქართული კულტურის ცენტრი სახელწოდებით „საქართველო – რუსთაველის სახლი"!

შოთა რუსთაველი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მხატვრულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალია. ვაჟა-ფშაველას შეფასებისამებრ: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო – იგივე „ვეფხისტყაოსანი". საერთაშორისო მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ეს ზღვარდაუდები გენიოსი თავისი ჰუმანისტური იდეებით თითქმის საუკუნე-ნახევრით უსწრებს ევროპულ რენესანსს. ყველა დიდი კულტურის მქონე ერი პატივს მიაგებს თავის უპირველეს გენიოსს. ამდენად, შეუწყნარებელია, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს რუსთაველისა და მისი ეპოქის ამსახველი – მალუსტრირებელი სივრცე.

სწორედ რუსთაველის სახელი უნდა იყოს საქართველოს სავიზიტო ბარათი დანარჩენ მსოფლიოსთან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩამოყალიბდეს კულტურის ცენტრი სახელწოდებით „საქართველო – რუსთაველის სახლი", სადაც წარმოდგენილი იქნება რუსთაველის, მისი თანადროული ეპოქის, ასევე, ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მთელი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალები.

„საქართველო – რუსთაველის სახლი" იქნება ის უპირველესი სავიზიტო ბარათი, რითაც ჩვენ, როგორც ერთ-ერთი უძველესი, დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანა, წარვდგებით დანარჩენი სამყაროს წინაშე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება უკვე მრავალი წელია ამკვიდრებს აზრს, რომ აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას რუსთაველის ეპოქისა და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მიღწევების ამსახველი კულტურის ცენტრი, ისევე, როგორც „პომპიდუს ცენტრი" პარიზში, „იაპონიის სახლი" ოსაკაში და სხვა... სადაც ხაზგასმულად მიწოდებულია, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნებმა მსოფლიოს სულიერი და ნივთიერი კულტურის განვითარებაში და რა მიიღეს დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსაგან. ვფიქრობთ, დღეს რეალური ხდება ამგვარი იდეის განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში.

როგორც ცნობილია, ამჟამინდელი „პრეზიდენტის სასახლე" ავლაბარში, რომლის არქიტექტორიც აკადემიკოსი გიგა ბათიაშვილია, თავიდანვე განსაზღვრული იყო, როგორც „საქართველო – რუსთაველის სახლი" სწორედ იმ ფუნქციითა და მიზნებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. იმდროინდელმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ საფუძველშივე მოსპო ეს შესაძლებლობა. შემდგომი რამდენიმე წელი კი საქართველოს ახალი პრეზიდენტის მოულოდნელ ამბიციას შეეწირა. ყველას ახსოვს, რომ იმ ეტაპზევე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ათონელის ქუჩაზე საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციისათვის სპეციალურად მოეწყო ორბელიანების ისტორიული შენობა. ასევე ცნობილია ხელისუფლების ნება, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ამიერიდან ამ ახალ რეზიდენციას დაიკავებს.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების წინაშე აყენებს წინადადებას, რომ ავლაბარში, საქართველოს პრეზიდენტის ამჟამად არსებული რეზიდენციის შენობაში, განთავსდეს „საქართველო – რუსთაველის სახლი", სადაც წარმოჩენილი იქნება საქართველოს ცივილიზაციისა და კულტურის, ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, საქართველოს ბუნება, ღანდშაფტი, განსაკუთრებულობა.

ეს იქნება უდიდესი ისტორიული აქტი – მიღებული საკაცობრიო მნიშვნელობის ქართული კულტურის შესაფერისად მოვლისა და წარმოჩენისათვის".

ამერიკაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს მიაკვლიეს



ალექსანდრე მიქაბერიძემ სრულიად შემთხვევით ამერიკაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს მიაკვლია.

ალექსანდრე მიქაბერიძე:

– ის სასიამოვნო შეგრძნება, როდესაც სრულიად შემთხვევით აღმოაჩენ ახალსა და საინტერესოს.

ამასწინათ ერთი ბრიტანელი ისტორიკოსის პირადი არქივის მონახვა გადავწყვიტე და გასულ კვირას მივაგენი. ვესაუბრე არქივის თანამშრომლებს, რომლებმაც მომაწოდეს აღნუსხვა, რომელშიც ქართული ხელნაწერებიცაა, მათ შორის ორბელიანის ლექსიკონიც. რამდენიმე ასლი უკვე მივიღე...

ნუცა ბუზალაძე სადებიუტო ალბომს წერს

მომღერალი ნუცა ბუზალაძე „ბრავო რეკორდსში" სადებიუტო ალბომს წერს. ჩაწერები აქტიურ ფაზაშია შესული. ნუცას ალბომში 12 სიმღერა შევა. მათგან ექვსი სიმღერა და ტექსტი ნუცამ თავად დაწერა.

ნუცა ბუზალაძე:

– ძალიან მინდა, რომ ჩემი ალბომი მალე გამოვიდეს და ჩემი დაწერილი სიმღერები მალე მოისმინონ ჩემმა გულშემატკივრებმა. სანამ ალბომი გამოვა, ორ სიმღერას ჩემს ერთგულ მსმენელს აუცილებლად მოვასმენინებ. დაგეგმილი მაქვს რამდენიმე სიმღერაზე ვიდეორგოლის გადაღებაც. ასე რომ, სიახლეებს მსმენელს ეტაპობრივად მივაწვდი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დედამ შვილს თვითმკვლელობა გადააფიქრებინა

იაპონელმა გაიხსენა ის შემთხვევა, როდესაც დედამ თავის მოკვლა ბავშვობის დროინდელი საჩუქრის დახმარებით გადააფიქრებინა.

მამაკაცმა საკუთარ ტვიტერში დაწერა, რომ სკოლაში სწავლის დროს, როდესაც დამამთავრებელ კლასში იმყოფებოდა, კინაღამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ის უკვე სახლის სახურავზე იყო ასული და გადმოხტომას აპირებდა, როდესაც ის დედამ შეაჩერა. მან საფულიდან მომცრო ბარათი ამოიღო და მას გაუწოდა. ბარათზე ეწერა: „ეს ბილეთი ნებისმიერ სურვილს შეგისრულებს".

ის თვითნაკეთი საჩუქარი აღმოჩნდა, რომელიც მან დედას ჯერ კიდევ მაშინ აჩუქა, როდესაც საბავშვო ბაღში დადიოდა. მის დანახვაზე ის დედას ჩაეხუტა და ერთად ატირდნენ სახურავზე. მისი თქმით, მას შემდეგ სუიციდზე ფიქრი გონებაში აღარასოდეს გაუვლია.

სმარტფონში თავჩარგული დედის ბავშვი მატარებლის ქვეშ აღმოჩნდა

ჩინეთში პატარა გოგონა მატარებლის ბორბლებქვეშ ჩავარდა, სანამ მისი დედა სმარტფონის ეკრანს იყო მიჩერებული.

ინციდენტი პეკინში რკინიგზის სადგურ პეკინი-ცენტრალში მოხდა. ხუთი წლის გოგონა შეეცადა, მატარებლის ვაგონში შესულიყო, მაგრამ ვაგონსა და ბაქანს შორის დარჩენილ ცარიელ სივრცეში ჩავარდა. დედამ ეს მაშინვე ვერ შენიშნა, ვინაიდან ტელეფონის ეკრანს თვალს არ აშორებდა. როგორც კი ქალმა შენიშნა, რომ ბავშვი მის გვერდით აღარ იყო, ხოლო ბაქანზე მხოლოდ მისი ზურგჩანთა იდო, მაშინვე შვილის დახმარებას შეეცადა.

მასთან სადგურის თანამშრომლებმა მიირბინეს. როგორც კი ერთ-ერთი მათგანი დარწმუნდა, რომ ბავშვი უვნებელი იყო, რელსებზე ჩახტა და გოგონა ამოიყვანა.

პატარა გოგონა თავზე დიდი კოპით გადარჩა და ძალიან შეეშინდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6838	ევრო — 3.1022
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5265	100 რუსული რუბლი — 4.0978

ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის

ხატია ბუნიათიშვილზე „არტემ“ დოკუმენტური ფილმი გადაიღო

ქართველ პიანისტ ხატია ბუნიათიშვილზე „არტემ“ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ტელეკომპანიის მესვეურებმა ხატიასთან ერთად საქართველოში იმოგზაურეს და წინანდალში გამართული კონცერტის მზადება და მიმდინარეობა აღბეჭდეს.

„48 საათი საქართველოში ხატია ბუნიათიშვილთან და ზუბინ მეტასთან ერთად“ – ასეთია ფილმის სახელწოდება, რომელიც წინანდალში გამართულ კონცერტს მიეძღვნა.

ხატიას უშუალო ინიციატივითა და მოწვევით საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მაესტრო ზუბინ მეტა და ისრაელის ფილარმონიის ორკესტრი ეწვია. წინანდალში საგანგებო სცენა აშენდა, სადაც ხელოვანებმა ერთობლივი კონცერტი გამართეს.

სწორედ ამ კონცერტსა და მის სამზადისს მიეძღვნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც 43 წუთის განმავლობაში მაყურებელს ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ეპიზოდებს აცნობს. ფილმის ავტორებმა ხატია და მისი საპატიო სტუმრები ინგლისურად ჩაწერეს, თუმცა ინტერნეტში ფილმის ფრანგული და გერმანული ვერსიები გაავრცელეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბონალო იგუაინი: „იუვენტუსმა გამომაგდო“

არგენტინის ნაკრებისა და მილანის ფორვარდმა გონსალო იგუაინმა მის ყოფილ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ იუვენტუსმა ის, უბრალოდ, მოიშორა.

იგუაინის თქმით, მას შემდეგ, რაც გუნდში კრიშტიანო რონალდო მივიდა, მას პირდაპირ უთხრეს, რომ ის იუვენტუსში ვეღარ ითამაშებდა:

– იუვენტუსზე გაბრაზებული არ ვარ, უბრალოდ, მინდა, რომ ყველამ იცოდეს სიმართლე. მე არ მინდოდა იუვედან წასვლა, მაგრამ რონალდოს მოსვლის შემდეგ იძულებული გავხდი, რომ ეს გუნდი დამეტოვებინა. მილანში ბედნიერი ვარ და აქ ყველა მაფასებს.

არდა ტურანს გიულენთან კავშირში ადანაშაულებენ

ცნობილი თურქი ფეხბურთელი არდა ტურანი ბოლო ორ კვირაში რამდენიმე სკანდალში ერთად გაეხვია. ჯერ იყო და ტურანმა ერთ-ერთ ღამის კლუბში თურქი მომღერალი გალახა, რის გამოც მას ციხეც კი ემუქრება, რამდენიმე დღის წინ კი გამოძიება დაიწყო ტურანისა და ფეთჰუმა გიულენის კავშირებზე.

შეგახსენებთ, რომ გიულენი 2016 წელს სამხედრო გადატრიალების მოხდენას შეეცადა და თურქეთმა უკვე უამრავი ადამიანი დააპატიმრა, ვისაც მასთან რაიმე სახის კონტაქტი ჰქონდა.

თუ ეს ბრალდებები ტურანს დაუმტკიცდა, მან შესაძლოა დიდი ხნით ამოყოს ციხეში თავი.

რობერტო ფირმინო ლივერპულიდან არ მიდის

ლივერპულის ფორვარდმა რობერტო ფირმინომ განაცხადა, რომ ის ამ გუნდიდან წასვლას არ აპირებს და შესაძლოა კარიერა სწორედ ლივერპულში დაასრულოს.

ფირმინოს შეძენა რამდენიმე გუნდს სურს, მათ შორის არის ბარსელონაც, მაგრამ, ბრაზილიელის თქმით, ის ლივერპულში ბედნიერია.

– არ ვიცი, საიდან ვრცელდება ჭორები, მაგრამ ლივერპულიდან წასვლას არც კი განვიხილავ. მინდა, რომ ლივერპულში დიდხანს დავრჩე და გულშემატკივრები გავახარო, – განაცხადა ფირმინომ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, ცოლი რისთვისაა საჭირო?

– რისთვის?

– რომ თავი ბედნიერად იგრძნო, როდესაც სახლში არ იქნება.

•••

პროფესორი სტუდენტს ეკითხება:

– ლექციაზე, რატომ გძინავთ?

– არ მძინავს, უბრალოდ, თვალებს ძალიან ნელა ვახამხამებ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, იცი რამდენ რამეს შევიძენდით, სმას თავს თუ დაანებებდი?

– ვიცი, ჩემთვის არაფერს, შენთვის კი ქურქს...

•••

ცოლი საყვარელთან ერთად წევს. ამ დროს ოთახში ქმარი შემოვარდა. ცოლი საყვარელს ეუბნება:

– ძვირფასო! მიდი დაუმტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ.

– როგორ, შენ ქმარსაც?

•••

ორი პროფესორი ბაღში სკამზე ზის და საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– და მაინც, საოცარი ქმნილებაა ადამიანი.

– მასე რატომ ფიქრობთ კოლეგა?

– რატომ და საკმარისია ნებისმიერს უთხრა, რომ ცაში 9567432876932176978 ვარსკვლავია, რომ ის დაიჯერებს, მაგრამ თუ, ვთქვათ, სკამთან დადგამ წარწერას: „ფრთხილად! შეღებილია!“ ის აუცილებლად დასარწმუნებლად თითით გასინჯავს.

•••

ავადმყოფი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, მომაშორეთ პალატაში ჩემი მეზობელი, თავს რომ მოტოციკლად ასაღებს.

– რატომ, ხმაური გიშლით ხელს?

– არა, გამონაბოლქვი გაზები!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ქალმა ქორწილისთვის ათასობით დოლარი დახარჯა და საქმროს გარეშე დარჩა

ამერიკელმა ქალბატონმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი საქმრო ქორწილში არ მოვიდა და ეს მას შემდეგ, რაც მან ცერემონიის თანხა მთლიანად გადაიხადა.

ქალი ჟურნალისტებს საშა კ-დ გაეცნო. მისი თქმით, საქმრო, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ხვდებოდა, მათ ქორწილში არ გამოცხადდა. უფრო მეტიც, მან ის მოატყუა, რომ რესტორანი ჰქონდა დაჯავშნილი და წინასწარ ავანსის სახით 500 დოლარი შეიტანა. სინამდვილეში რესტორანი დაჯავშნილი არ ყოფილა და ყველა სტუმარი, მათ შორის საკმაოდ შორიდან ჩამოსულებიც, დაწესებულებაში არ შეუშვეს.

საშას თქმით, მას გული გაუტყდა: აღარც ქორწილი ჰქონია და აღარ თაფლობისთვე საბერძნეთში, რაშიც სამი ათასი დოლარი ჰქონდა გადახდილი. სადაზღვევო კომპანიამ მას ზარალის ანაზღაურებაზე უარი უთხრა.

ქალმა ასევე სამი ათასი დოლარი დახარჯა საქორწინო კაბაზე, 2,4 ათასი – დიჯეის მომსახურებაზე, ოთხი ათასი – გადაღებაზე და ორი ათასი – „სხვა წვრილმან ხარჯებზე“.

მისი თქმით, მისმა საქმრომ მხოლოდ 300 დოლარი გადაიხადა მის ვარცხნილობასა და მანიკიურში.

საშამ საქმროს საქციელის შესახებ იმ დროს შეიტყო, როდესაც სასტუმროში ცერემონიისთვის თავის დაქალებთან ერთად ემზადებოდა.

– ჩვენი ათი წლის ურთიერთობა ათ წუთში დასრულდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მძინავს და საშინელ სიზმარს ვხედავ, – განაცხადა საშამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქალაქი, ნავსადგური, კურორტი საქართველოში; 2. ტროპიკული მცენარეებისგან დამზადებული მუქი ღურჯი საღებავი; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. გემბანის წინა ნაწილი; 6. კუთხე საქართველოში; 8. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 14. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო სასამართლის კანონთა კრებული; 9. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 10. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 16. საფაო საკითხის საჯარო განხილვა, კამათი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა